

K 243.992
3

ბერტა ფონ ჭუტნერი



ქართველებთან და საქართველოში



Bertha von Suttner

Mit Georgiern und in Georgien
(Auszüge aus "Memoiren")





ბერტა ფონ ზუტნერი

ქართველებთან და საქართველოში

წიგნი შეადგინა, მოგონებების ფრაგმენტები თარგმნა და
შესავალი დაურთო ნოდარ კაკაბაძემ

თბილისი 1999

გამგებელის საქართაშორისო კულტურული პროგრამების ბიურო

Bertha von Suttner

Mit Georgiern und in Georgien
(Auszüge aus "Memoiren")

Herausgegeben, übersetzt und eingeleitet von Nodar Kakabadse

IBCCP

Tbilissi
1999



8.1(445-2-436)-05(736)-24



Es ist für mich eine besondere Ehre, für dieses Buch ein Vorwort zu schreiben. Die vorliegende Publikation fügt sich ausgezeichnet in die reichen und umfassenden bilateralen kulturellen und wissenschaftlichen Beziehungen zwischen Österreich und Georgien und legt zugleich Zeugnis von den traditionellen österreichisch-georgischen Beziehungen in allen Bereichen.

Ich glaube nicht, daß es purer Zufall war, daß Berta von Suttner 9 Jahre ihres Lebens im Kaukasus, auf dem Gebiet des heutigen Georgien, verbracht hat - und zwar, wie sie es manchmal nannte, "Die Schule ihres Lebens". Berta von Suttner, eine intellektuell hoch stehende Frau mit größtem Engagement wurde für ihren weiteren Lebensweg sicherlich sehr tief durch ihre Eindrücke und Erfahrungen in Georgien geprägt. Nicht nur die hochstehende kulturelle und künstlerische Umgebung, sondern die Vielfalt in allen Belangen haben sie tief beeindruckt.

Was würde Berta von Suttner, die Friedensnobelpreisträgerin, wohl heute sagen, - käme sie nach Georgien zurück. Die tragischen Erfahrungen Georgiens hätten sie in ihren Aktivitäten sicherlich noch weiter angespornt. Sie wäre unermüdlich gewesen, einen Beitrag zu leisten zur Konfliktlösung, zur Friedensbringung. Möge daher dieses kleine Buch ein, wenngleich auch zugegebenermaßen bescheidener, Ansporn sein, sich auf ein friedliches Miteinander zu konzentrieren.

Ich bin stolz, daß eine so berühmte und prominente österreichische Frau - und ich unterstreiche dabei das Wort "Frau" - hier in Georgien gelebt und gewirkt hat. Mit ebensolcher Freude konnte ich feststellen, daß sie in Georgien noch sehr lebendig ist, daß man ihr hier mehr als anderswo gedenkt. Die Übersetzung zum mindest eines Teiles Ihrer Werke heute sind dafür ein beredtes Beispiel. Ich danke dafür dem Übersetzer und allen in die Buchproduktion Involvierten aufrichtig und gebe nochmals meiner Hoffnung Ausdruck, daß die Aussagen der Friedensnobelpreisträgerin Berta von Suttner auch im heutigen Georgien gehört werden.

Dr. Heidemaria Gürei
Der Botschafterin der Republik
Österreich in Georgien

აზერბაიჯან - ავტორი
მართა გურგაშვილი



992
993
994
995
996
997
998
999
K

ამ წიგნისთვის წინასიტყვების დაწერა ჩემთვის განსაკუთრებული პატივია. წარმოდგენილი პუბლიკაცია ემსახურება მდიდარ და ფართო კულტურულ და შეცნიერულ ურთიერთობებს ავსტრიასა და საქართველოს შორის. ამასთანავე, იგი თავისებურად აფასებს ტრადიციულ ქართულ-ავსტრიულ ურთიერთობებს ყველა სფეროში.

არა მგონია, უბრალო დამთხვევა ყოფილიყო ის, რომ ბერტა ფონ ზუტნერმა თავისი ცხოვრების 9 წელი ქავებაში, დღეგანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გაატარა, უფრო ზუსტად, როგორც იგი მოიხსენიებდა ხოლმე, „მისი ცხოვრების სკოლა“. ბერტა ფონ ზუტნერი, მაღალი ინტელექტუს, პასუხისმგებობის სათვარი გრძნობის მქონე ქალბატონი გახლდათ; მის შემდგომ ცხოვრებზე დიდი გავლენა იქნია საქართველოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა და გამოცდილებამ.

რას იტყოდა დღეს, მშვიდობისათვის ნობელის პრემიის მფლობელი, ბერტა ფონ ზუტნერი - დაბრუნდებოდა იგი საქართველოში? საქართველოს ტრაგიკული გამოცდილება გააფართოვებდა მის მოღვაწეობას. იგი დაუდალაგად იმუშავებდა კონფლიქტების მოსაგვარებლად, მშვიდობის დასამყარებლად. აქედან გამომდინარე, მიუწერდაგად იმისა, ეს პატარა წიგნი რომ ძალიან მოკრძალებულია, იგი სერიოზული სტიმული იქნებოდა ძალისხმევის გასაძლიერებლად მშვიდობითი ერთობისაკენ.

შეამაყება, რომ ასეთი ცნობილი და სისქლოვანი ავსტრიელი ქალბატონი - და მე ხაზს გუსგამ სიტყვა „ქალბატონს“ - აქ საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ასეთივე სიხარულით დავადასტურებდი იმსას, რომ მისი სული საქართველოში იყდებ ცოცხლობს, რომ აქ მას ისე მოიგონებენ, როგორც არსად სხვაგან. მისი ნაშრომების თუნდაც ერთი ნაწილის თარგმანი საუკეთესო დასტურია ამისა.

პეიდემარია გოურერი
ავსტრიის რესპუბლიკის სრულუფლებიანი
და საგანგებო ელჩი საქართველოში

Wir sind sehr froh, daß die vorliegende Ausgabe noch ein Beweis der georgisch - österreichischen kulturellen Zusammenarbeit ist.

Dieses Buch soll zwischen diesen beiden Ländern eine der ersten Stufen der Vertiefung der kulturellen Zusammenarbeit und Verwirklichung der weiteren Projekte werden.

Unbedingt ist die Tatsache zu erwähnen, daß die Idee und die Initiative der Herausgabe dieses Buches der ersten Botschafterin der Republik Österreich in Georgien Frau Heidemaria Gürer gehört.

Wir denken, daß Teilnahme unserer Stiftung an diesem Projekt noch ein Beispiel der Durchführung der Politik unserer Stiftung in Georgien und Kaukasien auf der Basis der Propaganda der europäischen Kulter darstellt.

Dr. Levan Chetaguri
 Präsident der Stiftung "Kaukasien"

ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ წინამდებარე გამოცემა კიდევ ერთი დადასტურებად ქართულ აქტრიული ქულტურული თანამშრომლობისა.

ეს წიგნი უნდა გახდეს ერთერთი პირველი საფეხური ამ ორ ქვეყნას შორის ქულტურული თანამშრომლობის გაღრმავებისა და შემდგომი პროექტების განხორციელებისა.

ძლიათ აუცილებლად აღსანიშნავთ ის ფაქტი, რომ ამ წიგნის მომზადების იდეა და ინიციატივა მოდის თავად ქალბატონ ჰაიდემარია გრიერისაგან, აგსტრის რესპუბლიკის პირველი ელჩისაგან საქართველოში.

გთიქონდთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ამ ბეჭდვით პროექტში კიდევ ერთი მაგალითია ფონდის პოლიტიკის გატარებისა ეკრობული ქულტურის პროპაგანდის ბაზაზე საქართველოში და გაგებიადში.

ლევან ხეთაგური
 ფონდ „გაგებიადში“ პრეზიდენტი

1876 წლიდან 1885 წლამდე საქართველოში ცხოვროდ
მსოფლიოში სახელგანთქმული აქსტრიელი მწერალი, უკრნალმარტინი
მშვიდობისათვის მებრძოლი, მომავალი მშვიდობის ნობელის პრემიის
ლაურეატი ბერტა ფონ ზუტნერი. მან ეს წლები საქართველოში თავის
მეუღლესთან არტურ გუნდაკან ფონ ზუტნერთან ერთად გაატარა.

ბერტა ფონ ზუტნერმა თავიანთი ყოფნა საქართველოში აღწერა
"მეუარებში" (შტუტგარტი 1909). ზუტნერები მონაცემებით
ცხოვრობდნენ გორდში, ქუთაისში, თბილისშა და ზუგდიდში. ბ. ფ.
ზუტნერის ლიტერატურული მემკვიდრეობა ინახება უნევაში
(გაერთიანებული ერების ბიბლიოთეკა, ზუტნერ-ფრიდის კოლექცია).
ჩვენ მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ამ „მეუარებიდან“,
რომელიც საქართველოსა და ქართველებს ეხებიან.



მ ე ს ა გ ა ლ ი

ძართველ მეოთხელებს გთავაზობთ სახელვანოქმული აგსტრიელი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, უურნალისტის, მწერლის, მსოფლიო მასშტაბით მშვიდობისა და ანტისაომარი მოძრაობის ერთ-ერთი წამომწევების, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატის (1905), ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და ქალთა უფლებებისათვის მებრძოლის და გერმანულ, აგსტრიული და უნგრული სამშვიდობთ საზოგადოებათა დამაარსებლის - ბარონის ქალ ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებებს და შთაბეჭდილებებს ქართველებსა და საქართველოში.

მან თავის მეუღლესთან, ასევე უურნალისტ და მწერალ არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერთან ერთად 9 წელიწადი დაპყო საქართველოში (1876-1885 წლებში).

თუ რატომ და როგორ მოხვდნენ ისინი საქართველოში, ამის შესახებ წინააღმდებარე წიგნაკში ამოიკითხავთ; დანარჩენ ცნობებს, რომლებსაც ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებებში ვერ შევხვდებით და შეიძლება საანტრერესო აღმოჩნდეს ქართველი მეოთხელისათვის, ჩვენ ამ წინასიტყვათბაში მოგაწვდით.

თვითონ ბერტა ფონ ზუტნერს ქართველებსა და საქართველოშე, რამდენადაც ჩვენ ვცით, გარდა ამ მოგონებებისა, არაფერი დაუწერია. (დანარჩენი მისი, უბირატესად მხატვრული, ნაწილობრივ შშვიდობის თემას და ეგროპის სხვა საჭირობოტო, მაშინ აქტუალურ საკითხებს ეხება).

არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერს თავისი მხატვრული და პუბლიცისტური თხულებების უმეტესობა საქართველოსა და კავკასიის ოემისადმი აქვს მიძღვნილი: რომანები - "დარეჯანი. მეგრულ ზნეთა სერათი", "აზნაური", "შამილი", "ჩერქეზები", "აჭარლები", "იბერიელნი" (გამოიქვეყნებელი; ხელნაწერი ინახება აგსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვენაში); მოთხრობების კრებული ორ წიგნად - "კავკასიის შვილები"; აგრეთვე 1884წ. თბილისის რუსულენოვან გაზეთში "კავკაზ"-ის რამდენიმე ნომერში გამოქვეყნებული წერილების ცაკლი "გეფხისტყაოსახნე", რაც იმდროინდელმა ქართულმა გაზეობმა უმაღლ თარგმნეს და გადატეჭდეს; ეს იყო ერთ-ერთი პირველი ნაშრომი შოთა რუსთაველზე, დაწერილი უცხოელი აგტორის მიერ*.

... ბერტა ზოფია ფელიციტა გრაფის ქალი კინსკი ფონ გნინიც უნთ ტეტრუ დაიბადა 9 ივნისს 1843 წელს პრაღის გინსკების

* ახ. გაიოზ იმედაშვილი, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 90-91.



სახანდეში. მამამისი იყო აგსტრელი ფელდმარშალ - ლეიტენანტი ფრანც იოზეფ გრაფი კიბისგი ფონ გხინიც უნთ ტეტუ. ბერტა ლუისა დაიბადა, მამა ჟევე გარდაცვლილი იყო.

ჟევე გვარი და ტიტული მიგვანიშნებენ, რომ ბერტას მამას შეეძლო წარმოედგინა პაბსურგების მოხარუქის სატორიაში წარჩინებულ, ბრწყინვალე, სახელოფან წინაპართა გრძელი სია. ერთ-ერთი გრაფი კიბისგი მოხსენებულია გალენშტაინის რაზში. საუკუნეების განმავლობაში ბოჰემიის ამ მაღალი არისტოკრატის წარმომადგენლებს ეკავათ ვენაში იმპერატორის კარზე მაღალი თანამდებობა. მაგრამ ფელდმარშალლეიტენტა კიბისგიმ, ბერტას მამამ, უდალატა გვარის ტრადიციას, დაარღვია აგსტრელი მაღალი არისტოკრატის კოდექსი და ცოლად ითხოვა წერილი აზნაურის ქალიშვილი, მართალია ფონ კიორნერი, მაგრამ არა მსხვილი თავადის ასელი. და ამით თავის ცოლისაც და ქალიშვილისაც სამუდამოდ ჩაუკეტა აგსტრელი იმპერატორის გარი, საითქმაც თავის დღე და მოხწრება სევდიანი ნატრიოთ იცქირებოდა ბერტას პატივმოყვარე და სამორინეების ხშირი სტუმარი დედა.

დედამისი, მაშასადამე, იყო ზოფი გილჟელმინე კიორნერი, ანტინაპოლეონისტური ომების პერიოდის საკაოოდ ცნობილი მწერლის, ბრძოლის ველზე უდროოდ დაღუპული თეოდორ კიორნერის შთამიშაგდი. ბერტას დედა 20 წლისა მითხოვდა თითქმის 50 წლით უფროს გრაფ კიბისგის და გრაფის ქალი გახდა. გრაფი მაღა, 75 წლისა გარდაიცვალა და პატივმოყვარე ზოფიმ მაინც ვერ შეაღწია თავისი ჩამომავლობის გამო ვენის სამეფო სახანდეში, ე.წ. მაღალ საზოგადოებაში, ვერ გაშინაურდა ვენის სამეფო კარზე. დაახლოებით 16 დიდგაროვანი კეთილშობილი არისტოკრატი წინაპარი უნდა დაესახელებინა ადამიანს, რომ აგსტრის სამეფო კარზე მიეღოთ. მამის მხრიდან გრაფული ჩამომავლობის მოუხედავად, ბერტას ოჯახი უმატელო და სელმოკლე იყო, და გათხოვებამდე თვითონვე უხდებოდა ლუქმა-პურისოფეს ბრძოლა. ბერტას დედამ მოელი ფული, რაც განსეგნებულმა მეუღლებ დაუტოვა, კაზინოებში წააგო პომბურგში, ბადენ-ბადენში და ვისბადენში.

მისი მეუღლე ბარონი არტურ გუნდაკარ ზუტნერი (1850-1902), ცოლზე 7 წლით უმცროსი, ერთ დროს მდიდარი და არისტოკრატიული წარმოშობის ბარონ კარლ ზუტნერის უმცროსი გაუიშვილი განლდათ. (კარლ და კაროლინე ზუტნერებს ჰყავდათ 4 ქალიშვილი და 3 ვაჟი და ჰქონდათ ვენაში კოხტა სახანდე და საგვარეულო მამულში, ქვემოაგსტრიულ სოფელ პარმასსდორფში, რომელიც ვენიდან ასე 80 კილომეტრითაა დაშორებული და მისგან ჩრდილოდასაგლეთით მდებარეობს, მოზრდილი კოშკი ედგათ).

... ვენაში ერთ-ერთ ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლებს შორის ცნობილი აგსტრიელი მოქანდაკის ზიგფრიდ შარუს სკულპტურული ჯგუფია აღმართულია: ამ ჯგუფში გამოხატულია შშგიღობისაკენ მისწრაფება, მოწოდება - დედის, რომელსაც თავისი თრი შვილი შემოხვევია კაბის კალთაზე, ხელები თდნავ ზეაღვმართაგას და სასოების თვალებით შესცემის ზეცას. ეს ქანდაკება ამ ადგილას შემთხვევით არ დაუდგამთავი იმ სკერის წინ დგას, რომელიც ბერტა ზუტნერის სახელს ატარებს.

ბერტა ფონ ზუტნერს შტეფან ცემავა საგანგებო ქეთ მიუძღვნა, ხოლო თავისი მემუარების წიგნში - "გუშინდელი ქვეყანა" მას "ჩვენი დროს დიდებული, სულგრძელი კასანდრა და პაციფიზმის ფუძედებელი" უწოდა.

გერმანელმა კინოეფისორმა პარალელ ბრაუნმა 1952 წელს გადაიღო ბერტა ზუტნერის ცხოვრებისა და მოდგაწეობის ამსახველი ფილმი "მსოფლიოს გული".

ბერტა ფონ ზუტნერზე დიდალი ლიტერატურად შექმნილი. აღვნიშნოთ მხოლოდ ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება.

1959 წელს გერმანიაში გამოქვენდა თოზე შტოლნაიტერის წიგნი "ბერტა ფონ ზუტნერი. მშვიდობისათვის შებრძოლი ქალის ცხოვრება". ვენაში დაიბეჭდა თსტარ იან ტაუშინსკის რომანი "გაცომყვარენი ყველაზე ძლიერნი არიან", რომელიც ბერტა ზუტნერის ცხოვრებას ეხება. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია თრი, ჯერჯერობით, აღმართ ყველაზე მნიშვნელოვანი ბიოგრაფია ყველაზე განთქმული აგსტრიელი ქალისა: ერთი ერთგულის ბეატრიქს პემბოს "ბერტა ფონ ზუტნერი. ერთი დიდი ქალის ცხოვრების სურათი. მწერალი, პოლიტიკოსი, უკრანალისტი". ეს წიგნი პირველად 1964 წელს გამოიცა ვენაში და იგი 1969-ი. ამავე ქალაქში ყოფნისას მაჩუქა აგტორმა შემდეგი გულთბილი და სიმპტომატური წარწერია: "აგსტრიასა და საქართველოს შორის კეთილი ურთიერთობების იმედით ბერტა ფონ ზუტნერის სულისკვეთებით.

ვენა, 1969 წლის 1 ივნისი".

ბერტა ფონ ზუტნერის მეორე უმნიშვნელოვანები და უსრულესი ბიოგრაფია მეტვენის გენელ ბრიგიტე პამანს, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1986 წელს მიუნჰენის სახელმოსკეპილ "პიპერის" გამომცემლობაში და რომელიც მომზიდლავმა აგტორმა შემდეგი წარწერით გამომიზაა: "ზუტნერის ქართველ მცოდნეს.. ერთობის გულითადი გრძნობით - "ბერტა ფონ ზუტნერი. ცხოვრება მშვიდობისათვის", პიპერი მიუნჰენი. ცოურიპი. 1986. ბრიგიტე პამანი.

ვენა, სექტ. 86.

ბერტა ფონ ზუგნერს მსოფლიო სახელი მოუპოვა რომანმა "ძირს იარაღი!" (1889), რომელიც ბესტსელერად იქცა, 40-ჯერ გამოიცა და 16 წელში მარატონია. ბერტა მაშინ 46 წლისა იყო. რომანი თავიდან ბოლომდე პაციფისტური სულისკვეთებით და ომის საწინააღმდეგო პათოსითად გამსჭვალული. იგი ტენდენციური და პროგრამატული ნაწარმოებია. რომანი პიესადაც გადაკეთდა (1897), ხოლო 1916 წ. ფილმიც გადაიღეს ამ რომანის მიხედვით. რამდენიმე წლის განმავლობაში 1892 წლიდან გამოითავა ამავე სახელწოდების უურნალიც. თავიდან ამ რომანის დაბეჭვდა არავის უნდოდა: არც აქსტრიაში, არც გერმანიასა და არც შვეიცარიაში, რადგან რომანის ოქმა და პრობლემატიკა, ძირითადი ტენდენცია და საკითხის გადატყვევება ამ დროისთვის სათორნად არაპოპულარული და მოუღებელი იყო. ბოლოს და ბოლოს გარისებ დრეზდენელმა გამოიტემელმა ედგარ პირზონმა და რომანს მოულოდნელი წარმატება მოჰყება. მკითხველებს გაგაცნობთ ამ რომანით დაგავშირებით ზოგიერთ გამოძახილს: "ერთმა ქალმა გაბედა სულიერი აჯანყება ნაციონალიზმისა და შოგინიზმის, მილიტარისტური სახელმწიფო იდეოლოგიების წინააღმდეგ".

ზიგრიდ და პელმუტ ბოკები.

"ჭეშმარიტი გმირული შემართებით ეწყობა ლაშქრობა ჩვენი ეპოქის ძირითადი ტენდენციის წინააღმდეგ და ომს გამოცხადებული აქებს თმი. არასირდეს მილიტარიზმი ასე გაბედულად არ გაუცამტვერებით და არ უჩვენებით, რამდენ უბედურებას აგრცელებს იგი თავის გარშემო და რა შშვენიერი იქნებოდა უიმისოდ ჩვენი სიცოცხლე".

"ნოიე ფრაიე პრესე"

მწერალი პეტერ როზეგერი წერდა ამ რომანზე დაწერილ ვრცელ რეცენზიაში: "არსებობს ბიბლიის გამავრცელებელი საზოგადოებები, კარგი იქნებოდა შექმნილიყო ამ წიგნის გამავრცელებელი საზოგადოებაც, წიგნისა, რომელსაც მე ეპოქისშემქმნელ ნაწარმოებს ვუწოდებდა".

სამშვიდობო მოძრაობის ცნობილი მოდგაწე ალფრედ პერმან ფრიდაც ცოტა მოგვიანებით თავის "სამშვიდობო მოძრაობის ცნობარში" ამ რომანს "ეპოქისშემქმნელს" უწოდებს, რომელსაც "აფეთქების" ზემოქმედება პერნდა, აქებე გკითხულობა: "ისე მოხდა, რომ თათქოს მკითხველებს ახალი სამყარო გადაეშალათ თვალწინ, და ასი ათასობით ადამიანს ამ წიგნის წყალობით პირგველად გაუქრა ომზე



შელამაზებული და რომანტიკული წარმოდგენა ... და გაუჩნდათ ამ ბოროტების გაუქმების აუცილებლობისა და შესაძლებლობის იდეა სახელმწიფო მოწოდება ომის წინაპლატენი რომლის მსგავსი დიდი ხანია არ დაწერილა".

სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი "დი ნოიე ცაიტ".

საინტერესოა, რომ რომანის ზემოქმედების ძალა გერ უარყენეს თვით ომის მომხრეებმა და ბერტა ფონ ზუტნერის მტრებმაც, მაგალითად, ერთ დროს პოპულარულმა, ნაციონალისტურად განწყობილმა და ომის განმადიდებელმა მწერალმა ფელიქს დანმა, რომელიც იძულებული იყო ეღიანვებინა, რომ ეს რომანი წარმატებით ახერხებს ომის საწინააღმდეგო ტენდენციის გადგივებას. "ომი აუცილებელია, განაგრძობდა ფელიქს დანი, მას აქეს, გარდა მაგნე შედეგებისა, გამაკეთილშობილები, ზნეობრივი აღზრდის დანიშნულებაც. ამ ქალბატონის აზრები კი აზიანებენ ხალხის სულს, რადგან ისინი იმის უთხრიან მოგვლეობის შეგნებას, სამშობლოს სიყვარულს და გმირულ სელის კვეთებას".

რომში შედგა "ინტერნაციონალმენტური კონფერენცია" და მშენების III მსოფლიო კონგრესი. საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ აქ კაპიტოლიუმზე პირველად იღიაპარაკა ქალმა (აქამდე აქ მხოლოდ მამაკაცები გამოიიდნენ), რომელმაც, როგორც თვითონ განაცხადა თავის მეტვანებში, "სხვა არაფერი დამსახურება არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ დაწერა გულწრფელი წიგნი".

და ბოლოს: აი, რას ამბობს ალფრედ ნობელი ბერტა ფონ ზუტნერის ამ რომანზე: "ამბობენ, რომ სულ მსოფლიოში არსებობს 2000 ენა - 1999 წლისათვის ეს ძალიან ბეჭრი იქნებოდა, მაგრამ არ არის არცერთი ენა, რომელზედაც თქვენი შესანიშნავი ნაწარმოები არ უნდა თარგმნილიყო, არ უნდა წაკითხულიყო და არ უნდა გააწრებულიყო".

ბერტა ფონ ზუტნერის ამ რომანში მოამზადა ნიადაგი მთელი ეპოქული ანტისაომარი და პაციონისტური ლიტერატურისათვის, ისეთი მწერლებისათვის, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ერიჰ მარია რემარკი, ლუდვიგ რენი, ანრი ბარბუსი და სხვები, რომელთაც თმს ჩამოგლივეს რომანტიკული, პოეტური, პერიოდული საბურგველი. გამოიტემულია აზრი, რომ კრისტა გოლფი თავისი "გასანდრიო" აგრძელებს ბერტა ფონ ზუტნერის რომანს "იმის იარაღი"! - ხაზს.

ლევ ტოლსტოიმ მისწერა ბერტა ფონ ზუტნერს: "ქალბატონო, მე აღმაფრთოვანა თქვენმა რომანმა "იმის იარაღი"! რომელიც

ბულგაროვმა გადმომიგზავნა... მონობის გაუქმებას წინ უძღვდა ერთი მწერალი ქალის, ქ-ს ბიჩერ სტოუს სახელგანთქმული რომანი, დმგრიმშავე ქნას, რომ ოქვენი წიგნი გახდეს ომის გაუქმების მომასწავებელი"...

1904 წლის 17 ოქტომბერს თეთრ სახლში რუსელტს მოუდია ბერტა ფონ ზუტნერი, რომლისთვისაც უთქვებამს: "მსოფლიო მშვიდობა დადგება, აუცილებლად დადგება, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ".

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბერტა ფონ ზუტნერის დროს, ე.ი. XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს მშვიდობისათვის ბრძოლა და პაციფიზმი არ იყო პოპულარული. მოგვიანებით და ახლა მშვიდობის საჭიროებაზე ლაპარაკი ჩეველებრივი ამბავია. თვით ნაცისტებიც და კომუნისტებიც კი დემაგოგიურად მშვიდობაზე ლაპარაკობდნენ; ახლა აგრესორებიც კი მშვიდობისმოყვარებით ინიდებიან ხოლმე, რადგან ძალიან პოპულარული გახდა მშვიდობის იდეა, მაგრამ მაშინ მშვიდობის ქადაგება დიდ წინააღმდეგობას და დაცინგას აწყებოდა. იძღრონილები თმის შედარებით უწყინარი ფორმების, ნაკლები დამანგრეველი ძალის გამო, მაშინდელ მსოფლიოში ბევრი იყო თმის მოშნოება. როგორც ერთი გამხჯანსაღებელი საშუალებისა. ზოგს ეს ზედმეტი სისხლის გამოშვებად მიაჩნდა. ამიტომ ბერტა ფონ ზუტნერისათვის არ იყო აღვილი თმის წინააღმდეგ ბრძოლა (მას აბუჩად იგდებდნენ, "დარტყმულად", "შერევილად" მიიჩნევდნენ და ა.შ.). მაგრამ თანდათანობით ბერტა ფონ ზუტნერი იქცა მსოფლიო მასშტაბით მშვიდობისათვის ბრძოლის თავისებურ სიმბოლოდ და განსახიერებად. მან დაახლოებით ისეთივე სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, როგორც საერთოდ ფრანგების ასიზელმა, ალფრედ შვაიცერმა, ჩეენს დროში დედა ტერეზამ და ზოგიერთმა სხვამ.

ბერტა ფონ ზუტნერის დამსახურებაა აგრეთვე ისიც, რომ მან შვედ ქმიკის, მრეწველს, დინამიტის გამომგონებელს მიღიონერ ალფრედ ნობელს ჟთაპავონა იმ ზიანის და ზარალის საზღაურად, რაც მისმა გამოგონებამ კაცობრითობას მიაყენა, მშვიდობის ნობელის პრემიის დაწესება, რომლის პირველი ქალი ლაურეატიც თვითონვე გახდა. (ეს პრემია 1901 წლიდან გაიცემა შეციის მეცნიერებათა აკადემიის მიერ. ნობელის მშვიდობის პრემიას ნორვეგიული კომისია იძლევა).

საინტერესო რამ უთქამს ნობელს ერთხელ ბერტა ზუტნერისათვის: "მე მანდა შეგვმნა ისეთი საშინელი, მასობრივი განადგურების ნივთიერება ან მანქანა, რომ ამის შედეგად თმები საერთოდ შეუძლებელი გახდესთ".

აღსანიშნავია ისიც, რომ სამწერლო ნათლობა ბერტამაც და არტურმაც საქართველოში მიიღეს, მათ აქ დაიწყეს წერა და აქ-

იგრძნეს თავი პირველად მწერლებად. მათი ადრეული თხზულებები
საქართველოში შეიქმნა. ... 1964წლიდან აქსტრიაში არსებობს "ზუტნერის
საზოგადოება".

... ბერტა ფონ ზუტნერი გარდაცვალა 1914 წლის 21 ივნის.
ერთი კვირის შემდეგ სარავგოში მოკლულ იქნა ფრანც ფერდინანდი,
რაც I მსოფლიო ომის დაწყების საბაბად იქცა. ბერტა დაინდო ბერტა
ზუტნერი და არ შეასწორ თავისი იმედების და ოცნებების სრულ
გაცამტებერებას...

ჩვენი ვალია, ხაზეასმით აღვნიშნოთ განსვენებული მკვლევარის
სოლომონ ცაიშვილის დგაწვდი საქართველოში ზუტნერების
მოდგაწეობის შესწავლის საქმეში. მან ძალიან საინტერესო ნარკვევები
გამოაქვეყნა ქართული კულტურის წინაშე მათი დამსახურების შესახებ
(იხ. "ლრობა", 1955, № 5 და "მნათობა", 1957, 7). მაგრამ მკვლევარმა
კერ მოასწორ ზუტნერების ნაწერების უშუალო გაცნობა. ჩვენ
შეგვცადეთ, შეძლებისძაგვარად შეგვეგხო ეს სარვეზი, რომელიც
ობიექტური მიზეზების გამო ზუტნერების საქართველოში მოდგაწეობისა
და საქართველოს თემატიკაზე მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებით
შესწავლის სფეროში დარჩა*.

... ბერტას სიცოცხლეშივე ბევრი თაყვანისმცემელი, მაგრამ
აგრეთვე არანაკლები მოტელეც ჰყავდა. მას ირონიულად ექანდნენ
"მმგიდობის ბერტას", "მმგიდობის მოციქულ ბერტას", "სუფრაგეტ
ბერტას", "წითელ ბერტას" და ა.შ. მაგრამ ბერტა ზუტნერი
ბილომდე ერთგული რჩებოდა თავისი რწმენისა (გამოცელებული იყო
ქარიგატურები, რომელშიაც ბერტა პალმის დიდ ფოთოლს იქნევდა).

ბერტა ფონ ზუტნერის თანამებრძოლი, ცნობილი პაციენტი,
აქსტრიელი გამომცემელი და უურნალისტი ალფრედ ჰერმან ფრიდი,
გადმოგვცემს სიკვდილის წინ ბერტას უკანასკნელ სიტყვებს: "ძირს
იარაღი! უთხარი ყველას, ყველას!" (ფრიდმა 1911წ. მიიღო მმგიდობის
ნობელის პრემია).

... სამწუხაოოდ, ბერტასა და არტურს შვილი არ დარჩენიათ,
ზუტნერების მამული პარმანენდორფი და იქ მდგარი კოშკი დღეს
აღარად ზუტნერების საკუთრება, იქ ვიდაც სხვები ბინადრობენ.
როგორც ამბობენ, მამული და კოშკი გაპარტახებულია, ყოველ
შემთხვევაში, აღარაფერი მოგაგონებს ზუტნერების ძველ დიდებასა და
ატმოსფეროს, მითუმეტეს, წამლილია ბერტასა და არტურ გუნდაგარის
გვალი. მამულის ახლანდელ პატრონებს, თურქე, ძალიან არ უყვართ,

* იხ. ნ. გაკაბაძე, ნ. რუხაძე: კავკასია და საქართველო გერმანულ
ლიტერატურაში, თბილისი, 1966, გვ. 26-114.

როცა ბერტა ზუტნერის თაყვანისმცემლები მოდიან "საბილიურიმოდ". ბრიფიტე პამანმა არ გვირჩია პარმანსლონში ჩახვლა, გედარაფერს საინტერესოს იქ გელარ ხახაგოთ, თუ მაინცა და მაინც დაისინებოთ "პილივრიმობას", ფრთხილად იყავით, ახალმა პატრონებმა ძალლები არ მოვისინო.

მე სეგდით ავიგსე. გალაკტიონის ტაეპები გამახსენდა და ჩემს ცნობიერებაში ეს სტრიქონები ასე პერიფრაზირდა: "ზუტნერებისგან წაგიდა უგელა, სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული"...

... სადღარა ზუტნერების მიერ დიდი რუდუნებით შეგროვდი და ნალოლიაგები ქართული ნიგიები, რელიგიები და სუვენირები! პაგის მშეგიდობის სასახლეში ჰკიდია ბერტა ფონ ზუტნერის პორტრეტი. უქნევაში გაერთიანებული ერების ბიბლიოთეკაში ინახება შისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ხოლო არტურ გუნდაკარ ზუტნერის ხელნაწერები და მიმოწერა უმთავრესად დაცულია გენაში აგსტრის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. 1906 წელს დრეზდენში პირზონის გამომცემლობაში გამოვიდა ბერტა ფონ ზუტნერის ნაწერების სრული გამოცემა 12 ტომად.

ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებების წიგნი გამოვიდა 1909 წელს: "მემუარები", დოიჩე ფერლაბესანშტადტ, შტუტგარტი.

ქვემოთ ნაწევეტების თარგმნისას უშეალოდ გსარგებლობდი მოგონებების III გამოცემით, რომელიც განახორციელდა ფრიც ბიოტერმა: ბერტა ფონ ზუტნერი, "ცხოვრების მოგონებები". გამომცემლობა "ფერლაბ დერ ნაციონ". ბერლინი 1969 (II გამოცემა).

ეს მესამე გამოცემა 1909 წლის პირველ გამოცემასთან შედარებით ოდნავ შემოკლებულია. ამის თაობაზე გამომცემები ფრიც ბიოტერმი შენიშვნავს: "ამოდებული იქნა ის, რაც ბერტა ფონ ზუტნერის ცხოვრების საერთო სურათისათვის უმნიშვნელო იყო და რაც "მემუარების" კითხვას და ზემოქმედებას დღესდღეობით ამნელებს. ძირითადად ეს ეხება ტექსტის იმ ნაწილს, რაც თვითონ ავტორის მიერ არ არის შეთხეული: სახელდობრ წერილებიდან ციტატები, დეპშები, თანხმობის დადასტურებანი, გაზეთების ინფორმაციები და მხგავსი დამხმარე მასალა" (გვ. 56, გამომცემლის ბოლოთქმა).

ბერტა ფონ ზუტნერის "მემუარების" მეორე გამოცემა განხორციელდა 1965 წელს: ბერტა ფონ ზუტნერია შემუარების: გამოცემული ლიზელოტე ფონ რაინგენის მიერ. ეფა პელენ ბაულინგისა და ლინუს პაულინგის წინასიტყველობით. კარლ შოუნემანის გამომცემლობა. ბრემენი. 1965.

მოგონებების ქართული ნაწილის თარგმნისას ხელი გვქონდა მემუარების სამიგე გამოცემა, რომელთა შორის არსებული უმცირესი და

უმნიშვნელო დაშორება-განსხვავებაც გი ჩგენს გათვალისწინებული და მხედველობაშია მიღებული.

მოგონებების II გამოცემის წინასიტყველობა, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ეპუთგნის ჰელენ და ლინუს პაულინგებს, ხოლო ბრიტენეთის ლინუს პაულინგი იყო 1963 წლის მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი.

ამ "მოგონებების" ბოლოსიტყველობა წიგნის გამომცემელს ლიზელოტე ფონ რაბინგნის დაუწერია.

დანართის სახით აქ გათავსებთ "ილუსტრირტე ცაიტუნგის" (1891, 7 მარტი) ანკეტას, რომელიც ბერტა ფონ ზეტნერს შეუგება:

მამაკაცის ყველაზე ძვირფასი
თვისება შენთვის?

ასეთივე თვისება ქალში?
შენი საყვარელი საქმიანობა?

რა არის შენთვის ბედნიერება?

რომელი პროფესია მიგაჩნია
საუკეთესოდ?

გინ გინდა ყოფილიყავი, შენ
რომ არ ყოფილიყავი?
სად ისურგიბდი ბინაღოობას?
როდის ისურგებდი ცხოვრებას?
რა არის შენთვის უბედურება?

შენი ხასიათის მთავარი
თვისება?

შენი საყვარელი მწერალი?

შენი საყვარელი მხატვრები
და მოქანდაკები?

შენი საყვარელი
გომბოზიტორები?

სიმართლის მთქმელობა.

ასევე სიმართლის მთქმელობა
დასრულებული რომანის ბოლოში
სიტყვა "დასრულის" მიწერა.
როცა მდიდარი ხარ
შესრულებადი სურგილებით და
მიღწევადი მიზნებით.
საექიმო.

უდაბნოს ლომი.

რიგიერაზე.

ათასი წლის შემდეგ.
ტლანქ მამაკაცთან გაყრა რომ
არ შეგძლოს.
დამთმობლობა.

დაგასახელებ მხოლოდ ცოცხლებს
და თითოს თითოეული ქვეყნიდან:
ბოდენშტეტი, დოდე, ჰესენსერი,
ისენი, ტოლსტოი, მონტევაცა.
გერეშჩაგინი, კანოვა.

ასეთები არ მყავს, მაგრამ
შემიძლია დაგასახელო საყვარელი
მუსიკალური ნაწარმოებები,
რომლებიც გაფანტულია ყველა
სკოლის ოსტატებში

წითელი, გარდი.

შენი საყვარელი ფერი და
ყვავილი?

საყვარელი გმირები
ისტორიაში?

საყვარელი გმირი ქალები
ისტორიაში?

ლიტერატურაში საყვარელი
პერსონაჟები?

შენი საყვარელი სახელები?

რომელი ისტორიული პირს გერ
იტან?

რომელი ნაკლს აპატიგბდით
ადამიანებს ყველაზე იოლად?

შენი დაუძლეველი ანტიპათია?

რა გაშინებს ყველაზე შეტად?

საყვარელი საჭმელი და
სასმელი?

შენი ტემპერამენტი?

შენი დევიზი?

სახელ-გვარი

ქრისტოფ კოლუმბი, მარტ

აგრელიტები.

ეპატერინე II.

მარკიზ ბოზა, რუი ბლაზი.

პანი, რობერტი, ჰელენი,

ლეონორე.

ტორკებადა, ივანე მრისხანე და

500 სხვა.

ისეთს, რომელიც გულწრფელად

სურს ადამიანს მოიშოროს, მაგრამ

გერ ახერხებს.

როცა ადამიანებმა არა თუ

ყველაფერი იცინ, არამედ

სხვებზე უკეთაც იციან.

ჩემი საყვარელი ადამიანების

მისაღოდნელი დაბარგება.

ნანადირევისავან მომზადებული

პაშტეტი, დგინო Vino d'Ast;

sputante.

მშვიდი, შიგნითკენ მიმართული

ხალისიანობა, სიხარული.

არასოდეს არავის არ მიგაყენო

წყენა.

ბერტა ფ. ზუტნერი.




1864 წელი - ეს იყო წელიწადი, როცა აგვიტრიის ჯარის ნაწილები გერმანელებთან ერთად დანიის წინაძღმდევ თმს აწარმოებდნენ. ამ წელს რომ ვისსენებ, ჩემს მოგონებაში ეს ამბავი არავითარ როლს არ თამაშობს, რადგან არცერთი ჩემი მახლობელი ძღვამიანი მასში არ მონაწილეობდა. ამიტომ ჩემს მეხსიერებაში ამას არავითარი გვალი არ დაუტოვებია. საერთოდ, თმზე გულუბრუკილო წარმოდგენა ქვეთდა (და ანდაც საყოველოთაოდაც გაგრცელებული იყოვე წარმოდგენა), რომ თმი ისეთი რამაა, რაც ისევე აუცილებელი და რეგულარულია და ისევე არ ექვემდებარება ადამიანების ზემოქმედების სფეროს, როგორც პროცესები მიწისქვეშეთსა და ზეცაზე. ამიტომ აზრი არა აქვს ტყუილუბრალოდ ჩიხქლე-განგაში, მითუმეტეს თუ თმი ჩვენან შორს მიმდინარეობს. ეს იმდენად უმნიშვნელოა, როგორც თრი მხათობის შეჯანება, ეს ხომ არაგის ქება, ამით ადამიანი თავის საქმიანობასა და გართობაში ხელს ხომ არ შეიმლის?! დიდი-დიდი ეს შეიძლება საინტერესო განდეს, თუ "ისტორია" ამოძრავდება და კაცი შეიძლება დაიძაბოს, რეაგზე ახალი ხაზების მომღოდინებული არა მყონია, რომ მე ეს განმეცადოს. გაზეთების პოლიტიკურ ნაწილს არ გვთხელობდი (უმთავრესად გვთხელობდი ფრანგულ და ინგლისურ წიგნებს).

როცა მოგაგშირების გამარჯვებაზე რაიმეს შევიტყობდი და ამით გავითარებდი, ეს ხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა მუსიკალურ მაღაზიაში გამოფენილი იყო "დუშელის სანგრების მარშის" ნოტები. ნოტების გარეკანზე ქატა იეროშზე გადასული ჯარისკაცები, რომელთაგან ერთ-ერთს წინა ბლანზე მარცხნივ მაღლია აღმართული დროში ეჭირა, იმ დროს, როცა მთელს სურათზე დროშის ნაჭერი ზემთით ტალღისებურად იკეცებოდა და თითქოს მაყურებელს ქმოდა ქარში მისი ტყვლაშუა. ნოტების ეს გარეკანი ჩემს მასხსოვრობას შემორჩა, ხოლო საერთოდ შლეზგიგ-ჰოლშტაინის ლაშერობაზე აღარაფერი მასხსოვს. 1864 წელმა, განსაკუთრებით ზაფხულში, ახალი და სრულებით სხვა თავვადისავალი მარგუნა წილად, რამაც დრმა შთაბეჭდილება მოახდინა და წარუშლელად ჩამორჩა ცნობიერებაში.

ჩვენ გავიმგზავრეთ ფორ დერ პოეს ავარაგზე - პომბურუში. დედაჩემის არჩევანი ამ ბადზე რომ შეჩერდა, ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იქაურმა სამორინებმა და იქ თამაშის შესაძლებლობამ. თითქოს დედას აღარისოდეს უნდოდა კაზინოში ფეხის შედგმა (ეს მან რამდენიმე წლის წინ საზემოოდ და კატეგორიულად განაცხადა). მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ისევ გიღვიძა სურვილმა და იდეამაც, რომ შეიძლება განმეორებულიყო ექსპერიმენტი და ახლა მაინც გამოგვიტრა

ხელი ერთი კონტა მიღითნისთვის. ამ გეგმაზე უარი არ მიიჩინას, რადგან პომბურგი იყო ყველაფერთან ერთად ფეშენებელური ძალაში მდგრადი საბაც ნამდვილად შესაძლებლობა მექნებოდა გართობისა. ჩემი შეურვე თანახმა არ იყო. მან სამორინე დედაჩემისთვის სახიფათოდ მიიჩნია, ხოლო ჩემთვის იქ მოფუსფუსე საზოგადოება - შეუფერებლად. პომბურგს ჰქონდა პარიზის დემიონდის თაგშესაფრის რეპუტაცია. იმ წელს კურპაუზის ტერასაზე შეიძლება გენახათ თრი განსაკუთრებით თვალშიმოსახვედრი ადამიანი - კორა პირლი და ლეონიდა ლებლანგი, რომელთა სახელები საფრანგეთის შეორე მონარქის თანამედროვებს აქამდე ემახსოვრებათ. ჩემთვის უცნობი არ იყო პარიზული ფრიგოლური ცხოვრება ფუფუნებაში. როგორც მაშინდელი მოდერნული მწერლების ალექსანდრ დოუმას, ეუენ სოუს, უორუ სანდის, პოლ ფეგალის მგისტელი გიცნობდი "grand courtisanes" ცხოვრებასა და ფუფუნებას, როგორც მათ ეს ავტორები უწოდებდნენ. მაგრამ ამ საზოგადოების გვერდით პომბურგი თაგებდა აგრეთვე რიგან საზოგადოებასაც, მკურნალობის მოწადინე უცხოვლებს მოელი მსოფლიოდან, უპირატესად რესებსა. და ინგლისელების. ბინა წინასწარვე გვქონდა დაქირავებული სახლში, რომელიც გურზალის პირდაპირ იდგა და რომლის მფლობელიც იყო ბანკირი გვარად ვორმერი. ქალბატონი ვორმერი იყო საყვარელი, გონიერი, სიმპათიური ქალი. ამ გახსენებით მას საღამს გუთვლი აჩრდილოთა საუფლოში. მე ადარ გიცო, როგორ განვითარდა პომბურგი იმ დროიდან. ახლაც თვალწინ მიღვახ: გრძელი, ფართო ქუჩა, რომელსაც რკინიგზიდან თითქოს უსახრულობაში მიშეაგრძო და მარჯვენა მხარეს ერთი მოედნით დროებით მცირე მონაკვეთზე წყდება, სადაც კურზალი დგას. ქუჩის გაყილებით ჩამწრიფებულია სახლები, ან სასტუმროები, ან სხვა ჩვეულებრივი სახლები ინგლისური, რესული, ან სხვა ფუნდუკები. ზოგიერთ მათგანზე პეირი განცხადება "Appartements meubles" (ავეჯიდნი თოახები). იქ სადაც გურზალს გაცდებოდით, სასტუმროები მცირდებოდა, და უსახრულობისაკენ მიმავალი ქუჩა პატარა ქალაქად იქცეოდა, აქ ერთვოდნენ მას პატარა ქუჩაბანდები და შეკბი, რომელიც ეკუთხნოდნენ პესენ - პომბურგის ლანდგრაფს. მაშინ ტახტზე იჯდა უკანასწევლი ლანდგრაფი, ასე რომ თრი წლის შემდეგ მასთან ერთად არა მარტო მისი საგვარეულო შტო მოლიანად გადაშენდა, არამედ მთელი საგრაფო შეუერთდა 1866 წლის 3 სექტემბრის ზაგის შედეგად როგორც პესენის პროგნოციის ერთი ნაწილი პრუსის სამეფოს. პესენურ - პომბურული პატროოტების, თუ გი ასეთი არსებობდა, ძალიან მაღვ სწრაფი თანმიმდევრობით უნდა გადაცემულიყო დარმშტატურ, ნასაურ, პრუსიულ და გერმანულ - იმპერიულ პატრიოტიზმად.



იქ, სადაც დიდი ქუჩა კურპაუზის მოედანზე წყდებოდა, გმერლითი ქუჩაბანდი მარჯვნივ უხვებდა და კურზალის პირთამდებარების პარკამდე ჩადიოდა. იქ იდგა ჰომბურგის ყველაზე ფეშენებელური სახტუმრო "Bellevue", ხოლო კუთხეში, რომელიც უკვე პარქს მიეკუთხნებოდა, წამოჭიმულიყო დიდი სამსართულიანი სახლი "გეკერლინი", რომლის პირველ სართულზე ბეგრი საამო საათი გამიტარებია. ამის შესახებ ცოტა მოვიანებით.

როდესაც ჩვენ ჰომბურგში ჩავდით, თავიდან არავის ვიცნობდით, მაგრამ აგარაძებზე ადგილად იმება ურთიერთობა. ისე მოხდა, რომ პირველ სადამოსევ ჩვენი სახლის პატრონაში, სადაც დედაჩემი ფულს ახურდავებდა (მოსახმარი და საწყისი კაპიტალი უქმებელი მიღიონიანი მოგებისათვის), მოხუც ბატონს შენვდა, რომელიც ბატონმა ვორმესერმა გაგვაცნო როგორც "პარიზელი ბანკირი კონიგსგარტერი" და როდესაც ჩვენ ნაშავადეგს მუსიკის მოსახმენად მივედით, ბატონი კონიგსგარტერიც შემოგვირთდა და სხვა მოაგარაკენიც გაგვაცნო, ბატონები და ქალბატონები. ასე გავიცანით გრაფის ქალი ვაცტუში, პარიზში რომ ცხოვრობდა, ნეაპოლელი ბარონი როტმილდა და ბეგრი სხვა, რომელთაც ახლა ვედარ ვისხენებ.

ჩვენი ცხოვრება ასე მოვაწესრიგეთ ... დილით დედა საქმეებს რჩებოდა, ამასთაში მე შინ ვრჩებოდი, რადგან პრინცესულად დადგენილი იყო, რომ სამორინეს არ გაგარებოდი, და ამ დროს პიანინს გუგრაგდი და წიგნებს გვითხულობდი. მაშინვე ვიქირავეთ პიანინ და ბიბლოორეგაში, რომელიც იქვე ჩვენივე სახლში იყო მოთავსებული, აპონეგენტი გავსხენი ერთდროულად ექს წიგნებ. ყოველთვის ვიყავი წიგნების შეიერი შშიანმთქავი - ვერ დაგქმაყოფილდებოდი, ოუ ერთდროულად არ გამოგიტანდი სამ ბელეტრისტულ წიგნს (მაშინ შრავალტომიანი რომანები იყო მოდაში), 2 ტომ ტაუხნიცს და ერთ გერმანულ სამეცნიერო გამოკვლევას. რაც თავი მახსოვს, ყველა ვითარებასა და მდგომარეობაში ორი სიცოცხლით ვცოცხლობდი: პირადით და წიგნისეულით, და მინდა ვთქვა, რომ განცდილ-გადატანილი და ადწერილ - ასახული აშები ერთდროულად ამდიდრებდნენ ჩემს მოგონებათა საგანძუროს, რეალური ნაცონბი პიროვნებები გამრავლდნენ ჩემი აგტორების გმირებით. ეს არის ორმაგი გამოცდილება, რამაც ჩემი "შე" ჩამოაყალიბა. "ათას ერთი დამის" ზღაპრები ისევე მიეკუთხნებიან ჩემს აღმოსავლურ შთაბეჭდილებებს, როგორც ჩემი რეალური ყოფნა კაგასიაში. ზოგიერთ რეალურ ექიმს ისე არ აუჩქარებია ჩემთვის გულისძვრა, როგორც მარკიზ პოზას წარმოსახულ სატებას. და განა ხშირად რეალური განცდილ-გადატანილივით არ აღიქმება, როცა რომელიმე მოაზროვნის ანდა სწავლულის სიტყვებიდან ახალი ჭეშმარიტება იბადება, როცა უცრად

საბურგელის ერთი ნაკეცი გადაიშლება, რითაც დაფარულია სამყაროს დიდი მისტერია?

ხშირად დილდილობით შინ გსაქნარობდი. დედაჩემი პირველ საათზე ბრუნდებოდა შინ სამუშაოდან (ას, როგორ არ უყვარდა მას ეს სამუშაო!) და ჩვენ ერთად ვსამსრობდით. 7 საათზე ვსადილობდით ქურპაუზის რესტორანში მეტწილად სხვებთან ერთად, ამის შემდეგ კვირაში სამჯერ თქერაში მიღდიოდით. სწორედ ახლა გასტროლებზე იყო სულ ასაღვაზრდა, მაგრამ უკვე დიდად ცნობილი ადელინა პატი. ყოველ გამოსვლაში იყო 500 ათას ფრანგ ჰოსტარის დაბულობდა. მე მოგიხინე ივი "სომნამბულაში", "ფაუსტში", "ლურიაში", "დონ პასკეპალეში", "ტრავიატაში", "ლინდაში", "კრისპინსა და ნათლისდედაში". აღნათ დათავტონივი გრძნობა ეუფლება მომღერალს, როცა სცენაზე დგას, თთქოს ის განსახიერებად იდეალური ფიგურისა, თავისი ხელოვნების ჯადოთი უამრავ გულს რომ იპყრობს, ამდენ ელგარებას, პატიგს, სიმდიდრეს რომ იმკის და თანაც საქუთარი ხმის უღერადობით ტკბება. ასეთი ფიქრები, გარკვეულ მოშურნეობის გრძნობასთან გადაწინული, თავიდან არ მშორდებოდა, როცა პატი მდევრობა და მე შშვენივრად მესმოდა, თუ რატომ მიიჩნევდა დედაჩემი თავის სიცოცხლის ბერინიერებას შეწყვეტილად, როცა მას ხელი შეუშალეს გამსდარიყო მაღიდრანი. მაღიდრანი, ასე გვარწმუნებდნენ, ასჯერ უფრო დიდი იყო ვიდრე პატი. დედაჩემის ხმის ხატის მცოდნენი მაღიდრანის ხმის თანაბრად ერთ საფეხურზე აყნებდნენ, თურმე. იქნებ, მე ვიმეტვიდრე ეს დგთაებრივი ნიჭი.

ჩვენ დაგიბარეთ თბერის კაბელმასტტერი, მას უნდა შეემოწმებინა, მქონდა თუ არა ხმა, და თუ მქონდა, ჩემთან შეცადნეობა ეკისრა. ის მოვიდა, შემამოწმა, ჩათვალა, რომ მასალა კარგიათ, და შეცადნეობა დაგიწყეთ. ჯერჯერობით გვარჯიშობდით მხოლოდ გამგბში, ეს ჩემთვის ცოტა მოსაწყენი იყო, მირჩევნობა მაშინ არიები დაგვეწყო, ამის გამო გული ამიცრუგდა: როდესაც, ჩემი აზრით, მშვენიერ f-ს ან g-ს ფორტისიმომდე ვიღებდი, კაბელმასტტერი არ წამოხტებოდა და აღტაცებული არ წამოიძახებდა ხოლმე : "ეს ხომ პატიზე მეტია"? და ჩვენ ერთი კვირის შემდეგ თავი დაგანებეთ შეცადნეობას, მითუმეტეს დედაჩემს, რადგან ჩვენი მუშაობა აუხსნელი მიწეზით თითქოს უშედეგო ჩანდა, - 20 ფრანგის საფასური ერთობ მაღალი ეჩვენა.

ერთ ნაშეადღებს, მუსიკის დროს, ბატონშა კიონიგსგარტერშა გვითხრა: "სამეგრელოს დედოფალს დიდი სურვილი აქვს თქვენი გაცნობისა". კარგა ხანია გიცოდით, გინც იყო სამეგრელოს დედოფალი, რადგან ყოველდღიურად ქურპარკში და თეატრში ვხედავდით. ბატონი

კიონიგსვარტერი, რომელიც შასთან ურთიერთობდა, მოგვითხრობდა მისი
ცხოვრების შესახებ, რაც იცოდა. ეპტერისე დადიანი, ყოფილმაც
ქავებასური სახელმწიფოს დედოფალი (ახლა სამეგრელო რუსთის
იმპერიისათვის მიუერთებათ), იყო ფრიად ელეგანტური ქალბატონი
დაახლოებით 46-47 წლისა, ჯერ კიდევ ტანადი ქალი
(ახალგაზრდობაში ჭეშმარიტად ქართული ტიპის დამაბრმავებელი
ლამაზმანი უნდა ყოფილიყო). რამდენიმე წელია, თავისი შვილების
აღზრდის მიზნით, ევროპაში ცხოვრობდა, მონაცვლეობით ჰეტერბურგა
და პარიზში. ზაფხულობით რეგულარულად ჩამოდიოდა პომპურგში
სამკურნალო წყლის სასმელად. ყოველ დილით 7 საათზე მიდიოდა
წყაროზე, სამორინეში შეისეირნებდა ხოლმე, მაგრამ არასოდეს არ
თამაშობდა. ნაშუადღებს კონცერტზე ჩვევად პქონდა გურპაუზის
ტერასაზე ერთსა და იმბავე ადგილს მჯდარიყო, მუდამ მცირე ამაღლით
გარსშემორტყმული. მისი ოჯახი ორი ვაჟისა და ერთი ქალიშვილისაგან
შედგებოდა. მისი უფროსი გაუშიგდი ნიკოლოზი, ნიკოლ ხმობილი,
მაშინ 17 წლისა იყო, ქალიშვილი საღომე თვექსმეტისა, ხოლო
უმცროსი ვაჟი ანდრე თოთხმეტისა. მას ეპაგა გვეკრლინის სახლის
ბირველი სართული. მის სახლეულობს ეგუთგნიდა ერთი მდივანი,
გუგერნანტი ქალი ქალიშვილისათვის, პოფმასისტერი ბიჭისათვის, ერთი
კამერდინერი და ორი მოახლე. ქმრის სიკვდილის შემდეგ ეკატერინემ
როგორც თავისი ვაჟის მეურვემ მართველობის სადაგებიც დაიგულვა.
თურქებისაგან დიდად შევიწროებული, ერთხელ თვითონ ჩადგომია
სათავეში თავის მხედრებს და მტრებზე ულაშქრია. მაგრამ თანდათან
შეუძლებელი შეიქნა დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ისიც
იძულებული გახდა, მიეღო რუსთის პოტექტორიატი, რომელიც
სინამდვილეში ანექსიას უდრიდა. სამეგრელოს მთავრის ტიტული და
მიწები შეეძლო მემკვიდრეს შენარჩუნებინა, მაგრამ მაიორატის
ფორმით, ტახტზე უარი უნდა ეთქვა. ქვრივ დედოფალს დაენაშნა
რეგულარული წლიური შემწეობა, რათა მასსა და მის ოჯახს რანგის
შესაფერისი ხარჯების გადება შესძლებოდა, ხოლო რუსეთის სამეფო
კარზე უცხო სუვერენის უფლებებით ესარგებდა. გარკვეული აზრით ეს
ხელშაყრელიც კი იყო, რადგან კაგბასის სამთავროები და
სახელმწიფოები საქართველო, იმერეთი, სამეგრელო და სხვა მუდამ
მაპშადიანი მტრების გარემონცაში იმყოფებოდნენ და რუსთის
მფარგელობით შეეძლოთ შშვიდად განვითარებულიყვნენ და
აყვავებულიყვნენ და ერთგული დარჩენილიყვნენ თავიანთი ადათ-
ჩვეულებების, ენგისა და ეროვნული ტანსაცმლისა.

დედოფლის საზოგადოებაში შეიძლებოდა ზოგჯერ ქავებასიელი
ქალების ნახვა, რომელთაც თავიანთი ლაზათიანი ერთგნული
ტანსაცმელი ემთხათ. თვითონ დედოფალი თავის ტანისამოსს

კორტისაგან იძენდა და ჭეშმარიტი ქალბატონის შნოთი და ლაზარიშვილი ატარებდა კადეც. ეპატერინე ფრანგულიდ თავისუფლად ლაპბრიტონის მეტონი თავის შეიღებას თავის მეტრი და რენავი რენული აქცენტი პეტონდა. თავის შეიღებას მეტრი და რენული საუბრობდა.

სახურველი გაცნობა შედგა. მე დედოფლისადმი ბავშვურ აღტაცებას გერ გმალავდი. მანაც დამიახლოება და გულში ჩამიკრა. მაღვე მათი ოჯახის წევრად ვაქეც. თავდაპირველად მხოლოდ კონცერტის დროს ვიჯექი მათ ფართო წრეში. შემდეგ დედოფლმა წინადაღება მომცა დილდილობით წყაროზე გაცყოლოდი. მათთან სტუმრად მიგსულიყავი და მათთან მესადიღა ხოლმე. დედაჩემს თავი შორს ეჭირა. რამდენჯერმე ეწვია ბინაზე, თვითონაც ისტუმრა დედოფლით, ეს იყო და ეს. მე კი პირიქით დედოფლის ინტიმურ წრეში შემიყვანეს, რომელიც აშკარა სიმპათიას ამჟღაფნებდა ანაღვაზრდებისადმი. საღომე, დედოფლის ქალიშვილი, ასაკობრივად მე უფრო რომ მიახლოვდებოდა, ვაცილებით ნაკლებად იყო ჩემთან კონტაქტში, ვიდრე დედამისი. საღომე მანაც თავისი ახლახან შესრულებული თექვსმეტი წლით, ჯერ ბავშვად ითვლებოდა და მეტრი გუგერნანტ ქალთან ნიებოდა ხოლმე.

თანამემამულები ეკატერინეს "დედოფლს" ეძახდნენ. ეს ნიშნავს: ქალმეფებს, სიტყვა-სიტყვით "დედათ დედას" და საქართველოში ითვლება ყოველი დედაქალის (დედაბატონის) შესაფერის სახელწოდებად. ეს ოჯახი მე მეძახდა "კონტესინას". ასე მიწოდა პირველად დადიანების ოჯახის მეგობარმა, იტალიელმა მარკოზმა აღმორინიმ და ეს სახელი შემრჩა ბოლომდე. ეს მარკოზი კომიტერი ფიგურა იყო. სანში შესული ფრანგი, აქეთ-იქით ქათინაურებს აძნევდა, ყოველთვის ცეკვა-რწევით რომ დადიოდა, ყოველთვის ქალების მიმართ aux petits soins; თავის ასაკს არ ამხელდა. ატარებდა ნახშირივით შავ პარიკს და შეღებილ წევრს. ის ყებოდა წარსული დროების უამრავ ამბავსა და შემთხვევას, ისე რომ გაფრცელებული იყო ხშირად გამეორებული თხენჯობა, მარკიზი კალიოსტროსავით უპირ საუკუნეების წინ შოველინა ამ ქვეყანასთ. დედოფლის მდივანს, რომელიც ამავე დროს იყო მანდატუროუჩუცესი, მოურავი, მესტუმრეთუცესი, მსახუროუცესი, ერთი სიტყვით, ის, რასაც "ფაქტორუმს" ეძახიან, ერქვა მუსით ფერი და ფრანგი გახდებათ. იყი ერთგულებისა და მორჩილების განსახიერება იყო. ყოველთვის გერ ხერხდება მოწიწებული მისაღმებისას ზედატანის წინ გადახრა, ამიტომ მუსი ფერი, როცა თავის ქალბატონს ესაუბრებოდა, განზე გადგამდა ხოლმე თემის და ასე იდგა მის წინაშე უდიდესი პატივისცემის ნიშნად და თანაც ყოველთვის "თქვენი უდიდებულესობა"-თ, შიმართავდა. იყო დამსლობით 40 წლისა, პეტონდა მწითური ულვაში და ქილვაში.

მთხუცი კამერლინერი, მუსიო დავიდი, მსუქანი ქართველი
 შევიცარიელი, უპაშ 20 წელია, რაც ამ ოჯახში მსახურობდა არა არა მართვის
 ძაღლები სამეგრელოში განსეგნებული მთავრის დროიდან. იგი თითქოს
 ოჯახის ავეჯის გაგრძელებას წარმოადგენდა, დედოფლის სრული
 ნდობითა და მისი შვილების სიყვარულით სარგებლობდა.
 მრავალრიცხვანი და გაუხუნარია სურათები, რომელიც დედოფლის
 სახლსა და საზოგადოებში გატარებული უამიდან მეხსიერებაში ღრმად
 აღმებეჭდა. ჩემზე მომაჯადოებლად მოქმედებდა ორიენტაციური,
 ეგზოტიკური ელემენტი შერწყმული რუსულ და პარიზულ
 ამბიენტებთან, რომანტიკულობით შეზავებული და სიმდიდრის ჩარჩოში
 ჩასული. ნამდვილად ბედნიერი ვიყავი ამ ურთიერთობით, თითქოს
 ამიხდა დიდი ხეს ნალოლიავები გაურკვეველი ოცნებები. როცა არ
 უნდა მიიღულიყავი გეგერლინის სახლში, ყოველთვის ამაღლებული,
 ზეაწეული განწყობილება მეუფლებოდა. პარმაღლიდან შევდიოდით
 მოხრდილ სამფანჯრიან სასადილო თოახში, რომელსაც გვერდიდან
 ბალკონი ერტყა, მარჯვნივ კუთხის საღონი იყო მოთავსებული, სადაც
 დედოფალს დახანება უყვარდა ხოლმე. ამ თოახის უკან საძინებელი
 თოახი იყო. მარცხნივ სასადილო თოახს ესაზღვრებოდა ბავშვების
 თოახები. საერთოდ, ეს იყო ჩვეულებრივი, სადა ავეჯიანი, და არა
 მდიდრული ბინა, როგორც ეს მოაგარს შეეფერებოდა. ყურადღებას
 ქუცევდა მიურიდა-მოურილი საგნები და ნიგოები, ყვავილები, ავეჯის
 განლაგება - ყველაფერ ამას ჰქონდა თავისებური, სპეციფიკური
 პირადული და დამახასიათებელი ტვიფარი. უპაშ ამ თოახებში
 ჩაბედებული სუნი, რაც ფორთოხლის ყვავილებისაგან დამზადებული
 სუნამოს, რუსული პაპიონის და ტყავის სურნელის ნაზაგს
 წარმოადგენდა, შეიცავდა რაღაც პიროვნულს და ინდივიდუალურს.

წლების განმავლობაში ბეგრჯერ შეგწევდიგან დედოფლის და
 ყველგან, სადაც ის იმუოფებოდა, ეს სპეციფიკური სურნელი იფრქვეოდა
 მის გარშემო, თითქოს მისი თოახების კედლებს, საგნებსა და ნიგოებს
 თორგანულად ეგვროდა. ბეგრი დრო გამიტარებია ე.წ. კუთხის საღონიში
 და ყური დამზიდია დედოფლის ნაუბრისათვის, თავისი ცხოვრებიდან
 რომანტიკულ ამბებს რომ მიყვებოდა. კიდევ რამდენიმე წელი დავრჩები
 ეგრობაში და შემდევ გაეუბთან ერთად დაგბრუნები სამშობლოშიო -
 მეუბნებოდა იგი. ქალიშვილი ამასიბაში აღბათ დაქორწინდება, და
 "ოქენეც, კონტესინა, ერთხელაც იქნება, თქვენს ქმართან ერთად
 ქაგვასიაში მეწვევით, ხომ მართალია?" თქვენ უპაშ 21 წლისა და
 ასეთი მშვენიერი ხართ - მაღლე უნდა გათხოვდეთ და გაბეგნიერდეთ...
 გამომყევით, მინდა გიჩვენოთ, რა საქორწინო საჩუქარი გაგიმზადეთ"
 და დედოფალმა შემიყვანა თავის საძინებელ თოახში, მოახლეს უბრძანა,
 სამკაულების ზარდახშა გადმოედო და მიჩვენა თავისი ძვირფასეულობა:

აღმასები, ძვირფასი ქვები და მარგალიტები. მან ამოიღო ერთი პატარა კოხტა ბრილიანტის გულსაბნევი. "შეხედეთ, ეს არის Cadeu de noce, mais d'abord il faut avoir" "le promis".* დედოფალმა გამომჟოხა, ხუთუ არავინაა თქვენით დაინტერესებული, ანდა თქვენი შოსაწონი? არა, ჩემი გული მაშინ თავისუფალი იყო.

თვითონ ამას წინათ კინაღამ გათხოვდა. შარშან ზაფხულში ჰერცოგ ოსუნას, ესპანეთის უდიდეს და უმდიდრეს არისტოკრატს, ეპატერინეს ხელი უთხოვდა. მაგრამ დედოფალს საბოლოოდ გერ გადაუწყვეტია; იგი უმთავრესად შვილების მომავლით სულდგმულობდა და სამშობლოში დაბრუნებას შექმაროდა, საიდანაც იგი ნიკოს სრულწლოვანებამდე განდევნილი იყო.

ერთ ნაშავადევეს კურკონცერტის დროს კვლავინდებურად ტერასაზე ჩვეულ ადგილას დედოფლის წრეში გიხსედით. უცებ ხმა დაირნა, რესეტის მეფე აღექსანდრ II ჰომბურგში იმყოფებათ. აღბათ მეფე კურპარკში გამოიგლისო. მართლაც, უცბად ჩიჩქოლი ატყდა და ყოველი მხრიდან გაისმა: "იმპერატორი, იმპერატორი..." და ქვემოთ პარკში გამოჩნდა ალექსანდრ II-ის მაღალი, მოხდებილი ფიფურა; იმპერატორი თავისი აღიუტანტის თანხლებით ტერასის ქვეშ სეირნობდა. როცა დედოფლის მოპერა თვალი, ტერასის კიბეები ამოირბინა. დედოფლი წამოდგა, იმპერატორის რომ შეგებებოდა. ალექსანდრ II ხელზე აკოცა ეკატერინეს. ჩვენ შორისაც უგვდეს მორიდებულ, მოწიწებულ მანილზე. მე მაინც მოგვარო ყური იმპერატორის ფრანგულ და საკმაოდ ხმამაღლა ნათქვამს: "ხომ არ შეგვეხდა სათამაშო დარბაზებში?" იმპერატორმა დედოფლის მკლავი შესთავაზა. ჩვენ მათ მიგეებით. რელეტის მაგიდასთან აღექსანდრ II დედოფლისაგან რამდენიმე ოქროს მონეტა ისესხა. ან ფული თან არ ჰქონდა, ანდა ფიქრობდა, რომ ნახესხებ ფულს ბეღნიერება მოაქვს და წითელზე დასგა. იმპერატორმა მოიგო, მაგრამ საბოლოოდ დაუნდობელმა "ფოცხებმა" განვეტეს მოგებული ფული.

მეორე ეპიზოდიც ჩამოჩა მესსიერებაში, სახელდობრ, ადელინა პატის სტუმრობა სამეგრელოს მთავრის ცოლთან. ის მოფიდა თავის კომპანიონ ქალთან ერთად, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლდა ხოლმე მომდევრალს სტუმრობისას. ადელინა პატი დაახლოებით ნახევარი საათი დარჩა "გუთხის" სალონში ეპატერინებოთ. შემთხვევით მეც იქ აღმოვჩნდი. გარკვეული მოწიწებული ურულია და რიდი ახლაც დამეუფლა, როგორც რამდენიმე დღის წინათ იმპერატორ ალექსანდრ II-ის წინაშე, მაგრამ ახლა ცოტა სხვა სარისხისა, თუმცადა იმავე

* ფრ. " ... საქორწინო საჩუქარი, მაგრამ ჯერ საჭიროა "დანიშნული" გყავდეს.

სიძლიერისა. ეს ვოკალური ხელოვნების სფერო იყო, რომელიც
ბაგშვილიდანგვე ძაღუმად მიზიდავდა. საუბარი უმთავრესად მჰქოფეს შე
შეეხებოდა. როცა ადელინა პატის პეტოხეს, რომელიც თქვენი ყველაზე
საყვარელი როლით, მომდერალმა მარგარიტა დაბასხელა გუნის
"ფაუსტში".

ერთებლე ქართველი

ერთ დღეს დედოფლის წრეში ახალი ფიგურა გამოჩნდა,
საშუალო ტანის, ელეგანტური აღნაგობის დაახლოებით 40 წლის
გამაკაცი, რომელისაც სწორი სახის ნაკვთები, სევდიანი, თითქმის
მჭმუნგარე გამომეტყველება პქონდა, ეპატერინეს ახლო ნათესავი
გამოდგა. მას წერილი, გრძელი, შავი ულვაში ამშვენებდა.

"ჩემი საყვარელი ბიძაშვილი ერეკლე ქართველი... ჩემი
ძგირფისი კონტესინა, რომელზედაც ამდენს მოგითხოვთდა..." ერთმანეთი
გაგვაცნო დედოფალმა. ბიძაშვილი მომეწონა, და მასაც მოვეწონე.
ასეთ რაიმეს მაშინვე გრძნობა. მეყვეხელად ჩვენ შორის გაიძა ცხოველი
ურთიერთობა. ყოველდღიურად ხშირ-ხშირად ერთმანეთს გხვდებოდით,
რადგან უფლისწული ყოველთვის თავისი კუზინას საზოგადოებაში
იმყოფებოდა, ყოველთვის ერთად იზარებდნენ ტრაპეზს და მათაც
ერთად პატიუებდნენ სტუმრად საღამობით. მწერსის უამს ჩვეულებრივ
მუსიკით გაქცევდით თაგს. უფროსი გაუი ჰიანინოზე უბრახუნებდა და
სხვადასხვა კუპლეტებსა და ქუჩის ბულვარულ სიმღერებს მღეროდა.
სხვებიც აგყვებოდით ხოლმე. შე კი ფორტებიანოს ნამდგილ პარტიებს
გასრულებდი ხოლმე: შობენის ნოქტურნებს, მენდელსზონის კაპინჩოებს,
ლისტის რაფსოდიებს, ვმდეროდი ზოგიერთ პოპულარულ რომანს და
ქარიგებლობდი წარმატებით. ამ წრეში ისე შემოტკეროდნენ, როგორც
მუსიკალურ სასწაულს. დედოფალს ხალისით გაამბობინებდი თაგის
ბიძაშვილზე. ერეკლე იყო საქართველოს უგანასწერელი მეფის
გაფიშვილი; გვარად იყო ბაგრატიონი - ისევე რიგორი რესი
იმპერატორები რომანები იყნენ, ერეკლე "ბაგრატიდი" იყო. ეს
სახელწოდება ჩემთვის განსაკუთრებულად პერიკულ-კლასიკურად
უდერდა.

თბილისში სახახლე პქონია უფლისწულს, ხოლო მთებში, თურქე,
ძეველი კოშკი ედგა. ერეკლე მეტწილად ეფრთხის იყო, ზოგჯერ გული
თაგის კავკასიურ სამშობლოში გაუწევდა, სადაც ხალხი მას ისევ მეფედ
აღიწევამდა. ტემპერატურით უფრო მეღანელი იყრიათ, დედოფალი
ამბობდა, ვიდრე მხარელ-ხალისიანი. ალბათ, ამის მიზეზი მისი არცთუ

ბრწყინვალე ჯანმრთელობა იყო. მოყვითალო სახის ფერი მიანიშნებდა მის დაბავდებულ დგიძლზე. ამ სხვეულებას მეტრნალობდა ერთგული პომბურგის, კარლსბადის და ვიშის წყლით. "უკეთ უმკურნალებდა თაგვის აგადმყოფობას ჩემი ბიძაშვილი", დასძინა დედოფალმა, "ახალგაზრდა ქალს რომ შეირთავდეს, თქვენისთანა სანდომიან ქალიშვილს, ჩემთ პატარა კონტექსინა! შეეცადეთ თაგბრუ დაასვით... კარგა ხანია გცდილობ, დაგაქორწინო ერეკლე".

ასეთი სიტყვებისაგან მე მესხმოდა რეტი. ეს ეგზოტიკური უფლისწული, ეს შავგვრემანი ბაგრატიიდი, ამასთან წმინდა წყლის "სალონის ლომსაც" რომ წარმოადგენდა, მე ერთობ მიზიდაგდა. დაინტერესებიდან შეეყარებამდე სულ ერთი ნაბიჯია, სულ მცირე საბაბი და ეს მანძილი სწრაფად ითარება. მეც ასე დამეტართა (ეს ეპიზოდი მრავალი წლის შემდეგ გამოვიყენე სიუჟეტად ჩემს რომანში - "Trente-et-quarante").

თბილისი ნახევრად აღმოსავლური, ნახევრად ეგრობული ქალაქია. ქალაქის ევროპულ ნაწილში იგივე ყოფა-ცხოვრება სუფებს, როგორც ჩვენს დიდ ქალაქებში. ევროპული ტანსაცმელი, ეგრობული ჩვევები, ფრანგი მზარეულები, ინგლისელი გუვნნანტები, იგივე უურფიქები, მუსაიფი რუსულ და ფრანგულ ენებზე და ა.შ.

თაგადის ქალს თამარს ჰერონდა საკუთარი, დახვეწილი გემოგნებით მოწყობილი სასახლე და მის საღლონებში ტრიიდებით აქაური საზოგადოების ნაღები, მეფის ნაცვლის სასახლის დიდკაცობა, თვითონ დიდი თაგადი - მეფისნაცვალიც ხშირად იყო აქ სხვადასხვა გუბერნატორები, გენერლები და ადგილობრივი წარჩინებულები. თამარის უწცროსი და, მასავით მომხილავი, ერთ გენერალზე იყო დაქორწინებული და ისიც თბილისში ცხოვრიბდა.

თბილისში ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა ცოტა უცნაური იყო. ჩვენ ფული უნდა გვეშოგნა, თაგი რომ გეერჩინა: ასე რომ შე დილიდან გვეგდიოდი სახლიდან კარგად ანაზღაურებული მუსიკის ქრძო გაგებილებზე. ჩემს ქმარს ჰერონდა თაგისი სამსახური ერთ ფრანგ შპალერის ფაბრიკანტთან, მუსიც ბერნექსთან, რომელიც მარსელიდან იყო ჩამოსული. აქ არტურის ბინაც ჰერონდა და სახმელ-საჭმელიც. სამუშაო ზარი დღის 5 სო-ზე ირეკებოდა. ჩემი ქმარი, რომელიც შინ გაზულექტბული და განებიგრებული იყო და მცონარედ ითვლებოდა, დილაუთენია საწოლიდან უნდა წამომხტარიყო. მაგრამ ამას სიამოგნებით შერებოდა. შემდეგ მიღიოდა მანქანების განყოფილებაში მუშების სამეთვალყურეოდ, მუშებზე თვალი რომ სჭერიდა. 8 საათზე თაგის "პატრონთან" და ოსტატებთან ერთად პირველი საუზმის მისართმებად სუფრას უჯდებოდა. საუზმე შედგებოდა თხელი რიძიანი ყავისა და შავი ბურისაგან. ჩემს ქმარს ეს საუზმეც ეგემრიელებოდა, შემდეგ ბიუროში მიღიოდა საანგარიშოდ და ნიმუშების სახატაგად პირველ საათამდე. ამასთაში მე რამდენიმე ქრძო გაპერილს გამოთავრებდი და ჩვენ ყველანი გუსხდებოდით ბერნექსის სასადილო მაგიდას. ნაშუადღევს არტური საგაჭრო საქმეების გასარიგებლად, პირობის დასადებად, ხელშეკრულების გასაფორმებლად მიღიოდა მუშტრებთან, საბაჟოშიც შეივლიდა რკინიგზაზე - ეს ყველაფერი საკმარი შორს იყო; მაგრამ ამას არტური საღისიანად აკეთებდა. ნაშუადღევის 6 საათის შემდეგ ჩვენ ვთავისუფლდებოდით, ტანსაცმელს გიცვლიდით, გვახშმობდით თითქმის ყოველ საღამოს ხან ერეკლე ბაგრატიონის ქვრივოან, ხან მის დასთან და საერთოდ ქალაქის ყველა წარჩინებულ ოჯახში.

ქალაქში იცნობდნენ ჩვენი - ჩემი და არტურის სიყვარულის ამბავს, იცოდნენ აგრეთვე ჩვენი ახლო დამოკიდებულების შესახებ დადიანების ოჯახთან. და თბილისის საზოგადოებაში არ გვთვლიდნენ როგორც მხოლოდ ფაბრიკის უბრალო მოსამსახურედ და მუსიკის ჩემეულებრივ რეპეტიტორად, არამედ ჩვენ მიგვიჩნევდნენ თაგისებურ არისტოკრატ ემიგრანტებად. ჩვენ არათუ თანაბარ პირობებში გვაყენებდნენ, არამედ იმ პატივისცემითაც გვეცეოდნენ, როგორითაც ეყყობოდნენ გამოჩენილ უცხოელებს. ჩვენ ამაზე გულში გმიცინებოდა.

მწერლობისათვის თაგი არ გამინებებია, რამდენადაც დრო  მოცალეობა ამის საშუალებას მაძლევდა. ამ დროს დაწერილი ქვეწესადაც ნოველები: "დოროს აღიარებანი", "ჯაჭვი და გადაჯაჭვა", დაგენტილი მქონდა უფრო დიდი ნაწარმოები - "სულის ინვენტარიუმი" - ამ გეგმას დიდხასს დაგატარებდი თან.

ჩემს ქმარს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა წერისათვის, რადგან მისმა "პატრონშა" მას დამატებით დაბალია საამშენებლო პროექტების დახაზუა. როგორ ახერხებდა ამას არტური, დღესაც არ მესმის. მაგრამ ფაქტია, რომ მისი პროექტებით თბილისის გარეუბნებში ბეკრი სახლი და სასახლე აიგო. ისევე როგორც უკრავდა ის პიანის, ისე რომ არ უსწავლია, ისევე ხაზავდა არქიტექტურულ პროექტებს, ისე რომ არქიტექტურა არ შეუსწავლია. ქართული ენა იმდენად აითვისა, რომ ადგილომნივ მუშება და საქმის მწარმოებლებს ასე თუ ისე ავებინებდა. მე ამასობაში სრულგაფი ჩემი რუსული (რუსული ენის შესწავლა მე ჯერ კიდევ ვენაში დავიწყე, ზუგდიდში ოდესმე ჩასვლის იმედით). სახახლე, რომლის აგება ეკატერინეს უნდოდა, ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და, საერთოდ, დედოფლის სიცოცხლეში საშველი არ დაადგა.

თბილისში ყოფნისას მე სხეულება ვადაგიტანე, შეიძლება ითქვას, ჩემს სიცოცხლეში ერთადერთი. და მანც ამ აგადმყოფობის უამი მიეცუთვნებოდა ჩემს უმშვენიერეს, სანუკვარ მოგონებებს. არაფრის ჭამა არ შემეძლო. რასაც კი ვადებულობდი, ჩემი კუჭი უკუაგდებდა. სიარული არ შემეძლო, რამდენიმე ნაბიჯს რომ ვადაგდაამდა, იქვე ვეცემოდი. ცხადია, ეს ყველაფერი სასიამოვნო მოგონებების აღმმერელი ვერ იქნება; და მანც, ღმრთომა უწყის, ეს ჩემთვის საამო, ბედნიერი ღრო-უამი იყო! მე ნახევრად ვაბუუებულ-მინედილ მდგომარეობაში ვიყავი, წოლა სიმშვიდეს მეგრიდა. არტურის მოგლა, ზრუნვა და სინაზე ღრმა მშვიდ და ნეტარ მდგომარეობაში მაყოფებდა. ეს გრძელდებოდა დაახლოებით 6 კიორა, შემდეგ როგორც იქნა ვამოვჯობინდი და ჩვენ როიგნი კვლავ ჩაფურცელავდით სრულ ნეტარებაში.

ზუგდიდი

თბილისში ყოფნას მოპყვა ისევ ქუთასში, შემდეგ გორდში და ზუგდიდში ჩვენი ბინადრობა. ჩვენ სხვა ადგილებშიც ვიყავთ. მე ზუსტად ქრონლოგიური თანმიმდევრობითა და დაწვრილებით აქ ვეღარ ჩამოვთვლი ამ ჩვენს ადგილმონაცელების და მიდამოებს, სადაც ჩვენ 9 წლის განმავლობაში ვყოფილვართ.

ამის გარდა, ის, რაც ჩვენ არსებითად და მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, არ იყო გარეგანი მოვლენები, ხდომილება - ჩვენთვის მთაგარი და საგულისხმო შინაგანი განცდები გახლდათ, რამაც ჩვენს ორი იქ გადახვეწილობაში ორ საჭებით ახალ ადამიანად გვაქცია - ორ მხიარულ, გულკეთილ ადამიანად.

რამდენიმე მშვენიერი წელი დაგვავთ ჩვენ პატარა დაბა ზუგდიდში, სამეჯრელოს მთაგარ ქალაქში, კაცმა რომ თქვას, უმაღ მთაგარ სოფელში. აქ იყო აღმოსავლეური სახლების ერთი გრძელი მწვრთვი, აქევ იყო და, გახსნილი ჯიხურები, დუქანი დუქანს მოსდევდა. ამიტომ ეძახდნენ ამ ქუჩას "ბაზარს", მას ეერქვა აგრეთვე "ბულგარი", რადგან ქუჩა ხეების ორმაგი წყებით იყო დამშვენებული. ეს ხეები იყო გრძელისებრი პაცივები. როცა ეს ხეები ყვაოდნენ, მაშინ მთელი ზუგდიდი გამაბრუებული სურნელით იყო გაფლენილი. ამ აღმოსავლეური ქუჩას გარდა, ზუგდიდში იყო აგრეთვე გოურტემბერგელი გლეხების გლეხთა სახლები - ეს იყო, ასე ვთქვათ, "გერმანული კოლონია". ამის იქით მწვანე მდელოებსა და სიმინდის ყანებს შორის გაფანტული კავკასიური სტილის ერთსართულიანი სახლები მოსჩანდა - ეს იყო სის სახლები - გარშემო აიგნებით შემორტყმული. ბოლოს, ბაღში ჩადგმული გრაფ როსმორდოუკის ვილა, ცოტა მოშორებით თაგადის ქალის დოროშითი ბინა დიდი პარკის კიდეში, რომლის შუაგულში აღმართულიყო სასახლის დაუმთავრებული შენობა. სულ ეს იყო ზუგდიდი.

აშინება და სალომემ გადაწყვიტეს კავკასიაში დასახლებულიყვნენ. მათ გამოუყენებ დაუმუშავებული მიწის ნაკეთი, რომელზეც უნდა აგებულიყო ვილა, სამეურნეო ნაგებობა, კომურები და ბოსლები; უნდა გაშენებულიყო ბოსტნები და ყვავილნარები, საობურები და საყანე მინდვრები. ოთხი წლის განმავლობაში ეს ყველაფერი ჩვენს ოგალწინ მართლა წარმოიქმნა.

ჩვენ ვიქირავთ ერთი გერმანელი კოლონისტის ქოხი. სამოთხისებური ყოფა გვქონდა, ჩვენი აზრით. თაგასთაგად ცხადია, ეს არ იყო მდიდრული და პრეტენზიული ცხიფრება. ოთახები მიწის დონეზე იყო განლაგებული: ვ დაბალი ოთახი და ერთი სამზარეულო. ბარმაღლის წინ სის აიგანი გვქონდა. პირველი ოთახი იყო ჩვენი სალონი. ბაზრობაზე ვიყიდეთ ძალიან იაფი წითელი ნაჭერი და შპალერი ავაკარით "სალონის" კედლებზე; ნაწილი ფანჯრის ფარდებად გამოვიყენეთ, შპალერის ამგვრელები თვითონ ჩვენ ვიყავთ. ნაჭერს ჭჭრიდით და ერთმანეთს გაკერებდით, შემდეგ ვლურსმაგდით და ყველაფერი მზად იყო. ჩვენი ავეჯი შედგებოდა ჩვენს წითელ სალონში ერთი ძალიან დიდი მაგიდისაგან, რომელიც ორივესათვის საწერ მაგიდას წარმოადგენდა, რამდენიმე საგარმლისაგან, კიდევ ერთი მაგიდისაგან და

ერთი ტახტისაგან. დგამი, რომელიც ყველა კავშირი თოახში დასხა, არის გრძელი და ფართო დივანი, რომელსაც არაფერი აქვს გადატელული და არც მისაყრდნობელი არა აქვს. მასზე ხალიჩა გადატარებული და საფარველის მოვალეობას ასრულებს. თოხი მოგრძო, ხალიჩის ნაჭრით დაფარული მუთაქა საზურგება და მკლავების დასაყრდნობს ქმნიდა. შეიძლება ამისთვის დაგვემატებინა კიდევ რამდენიმე ბალიში და ყოველივე ეს გვიქმნიდა ჯდომის, წოლის და ნებივრობის მშგნიერ ძირობებს. რამდენიმე წიგნის თარი, რამდენიმე, ყოველთვის ცოცხალ ყვავლებიანი ლაპნაკი, ბუქრის თავზე შემოდებული სარკე, ატაქტე დაგებული ხალიჩა - და ყოველივე ეს ჩვენს წითელ სალონს თითქმის ელეგანტურ იერს ანიჭებდა. ჩვენ ამ სალონით ვამბყობდით. თრი დანარჩენი თოახი, ერთი საძილე, მეორე - საკაზმულო, - სათანადო იყო მოწყობილი. მთელი ჩვენი მომსახურე პერსონალი შედგებოდა მსოლოდამხოლო სახლის შვაბი პატრონების ქალიშვილისაგან (ისინი იქვე მეორე პატარა სახლში ბინადრობდნენ). ამის გარდა, ჩვენ კიდევ სუთი ბატი გვყავდა. ისინი ყოველ დიღით დამოუკიდებლად ვადიოდნენ საძოვარზე და საღამოთი უკან ბრუნდებოდნენ შინ თავმომწოდენი, ამბარტავანნი და ღირსეულინი. თავდაპრეველად ისინი, რასაკვრეველია, კულინარული მიზნით შეეიძინეთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც აიგნიდან ყოველდღიურად ჩვენდამი ნდობით აღჭურვილოთ შინ მობრუნებულოთ გრედავდით, ძალიან გაგვიძნელდებოდა ამ ნდობის გაწილება და მათ ბოლომდე ვაჩუქერ სიცოცხლე. თუ კი შემწვარ ფრინგელს შეჭამს კაცი, აქ პირადი ნაცნობობა არ უნდა იყოს ჩარეცდო.

ზუგდიდში ჩვენი დამკვიდრების მიზეზი ის იყო, რომ პრინცმა აშილ მიურატმა ჩემი ქმარი მშენებლობის ზედამნედგელად და ასისტენტად აიყვანა. არტურის მოვალეობას შეადგენდა პროექტების ხაზგა და მშენებელი მუშების ხელმძღვანელობა. თვითონ პრინცი მიურატი იყო, ასე გოებათ, მოყვარული არქიტექტორი, მოყვარული სოფლის მეურნე და მოყვარული მებაღე. ფუნქციები ასე იყო დანაწილებული. ინაზებოდა ბაღ-ბაღჩების პროექტები, იღებებოდა ხის პლაფონები, გაჰყავდოთ არხები, აკრავდნენ შებაღერს, ამზადებდნენ ხაჯინბოების სიმედო საკეტებს, ცხენები რომ არ მოეპარათ - ყველაფერი ეს კეთდებოდა საერთო ძაღლებით. ხშირად გხედავდი აშილსა და არტურს ერთად მაღალ მისადგმელ კიბეზე ასულებს ანდა არხებისა და მილების წყლებში შეტანილებს; ხშირად მათ ეხმარებოდა წინსაფრიანი, წყალგაუმტარი მაუდის სამოსელში გამოწყობილი, ფუნჯ-ნიჩაბ და ბარმობარჯვებული სალომეც. მე სხვა სამუშაოც მქონდა: ყოველ დღე 2 საათს ვასწავლიდი მათ ორთავე ვაუს - ლუსიენსა და ნაპის გერმანულ ენას და პიანინს დაკვრას. მსახურები უფრო ძნელად ეგუებოდნენ პრინცობს მუშაობას. ხშირი იყო მათი ცვლა და

უქმაყოფილების დემონსტრირება. კორექტულ ინგლისელ მექტლეებსა და მეჯინიბეებს, აგრეთვე, ფრანგ მზარეულებს ძალიან უჭირდათ საშუალებები პრიმიტიულ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ პირობებთან შეგუება. მათ აღარ უწდოდათ უწესრიგობასა და ქაოსში დარჩენა. თვით დიდიხნის ნამსახურული გამერდინერისა და აგრეთვე მოახსენი ჩათვლით, რომლებიც თაგან წამებულებად მიიჩნევდნენ, ყველანი ჯანყდონენ. შემდეგ ისევ ახალ მზარეულებსა და მეჯინიბეებს იწვევდნენ, რადგან ნატიფი ფრანგ ული სამზარეულოს და ჯიშიანი ინგლისური ბედაურების, ეტლების, სანადირო მოწყობილობების გარეშე პრინც აშილს არსებობა არ შეეძლო.

კვირაში ორჯერ გსადიღობდით ერთად მშენებარე გილაში; განსხვავებით ყოველდღიური სამუშაო ტასსაცმლისაგან, აյ საგარეო ტასსაცმლით მოვდიოდით და საღამოებს მუსაიფში, მუსიკობასა და ჭადრაკის თამაშში ვატარებდით. გვამსიარულებდა აგრეთვე ჩემი ქმრის მიერ დახატული კარიკატურები, რომლებშიც ასახული იყო მშენებლობის მთელი ქრონიკა, და მშენებლობაში მონაწილე ადამიანთა მეგობრული გონებამახვილური შარები. მრავალ ნიჭება და უნარს შორის ჩემს ქმარს ჰქონდა აგრეთვე მახვილეონიერი გრაფიკისს ნიჭიც. ერთხელ მან უურნალ ღვლიგენდე ბლეტერ"-ს გაუგზავნა თლენდორფის გრამატიკული მაგალითების საილუსტრაციო სერია. მაგალითად: "შენი ბიძის შანდალი უფრო დიდია, ვიდრე დეიდაჩიქმის ხვადი გატა", "მ-ეყაითმა ხაბაზის შეგორდმა დაინახა სევდიანი გაბიტანი", "ფრანგ ბატონს აქვს გრძელი სასეირნო ჯოხი და საბრძლო რუსი კი იყნება" და სხვა, რომლებიც სიმოგნებით და დიდი წარმატებით გამოაქვენა უურნალი.

ზამთარაში, როცა ჩემ დედოფალთან ზუგდიდში გომყოფებოდით, გვირა დღეს ყოველთვის სუფრაზე გვპატივებდნენ. ზაფხულობით კი ჩვენ ზუგდიდში სრულიად მარტონი გრჩებოდით და ამ სიმარტოვეს დიდებულად ვიყენებდით. რამდენიმე საათს დიღით არტური საამშენებლო საქმიანობის მეფიალურეობას უთმობდა, ხოლო დანარჩენი დრო მთლიანად მე მექუთვნოდა. მაშინ შეგვეძლო ჩემ მუყაითად გვემუშავა ჩვენს ნაწარმოებებზე, გვეწერა. ამ დროს შეიქმნა ჩემი რომანები: "ცუდი ადამიანი", "ჰანა" და წიგნი "სულის ინგენტარიუმი", რომელსაც ხელს ფსევდონიმით გაწერდი: ბ.ულო. ამ დროს დაწერა ჩემმა ქმარმა "დარეჯანი", "აზნაური" და მოთხოვობების კრებული "გაგეასის შვილები". ამ დროსგვე გვითხულობდით ჩვენ ერთად, ერთად გსწავლობდით, ხანგრძლივად ვმუსაიფობდით ყველაფერზე, რაც გვაინტერესებდა. ჩვენ შევიმუშავეთ ჩვენი ცხოვრების ფილოსოფია, ჩვენი მსოფლმხედველობა, რასაც აღბათ სხვა პირობებში

მაგრამ მუდამ არ შეიძლება ცაში ფრენა, საჭიროა სიწაზე
დაშვებაც, ყოველდღიურობის სადა, უბრალო სიმეში ჩაძირვა, და
სწორებ აქ გრძნობდით თავს მშეგნივრად, რადგან ჩვენდა უნებურად
გასრულებდით მაცხოვრის შეგონებას: "იყავით ვითარცა ბაგშვები!" ჩვენ
გთამაშობდით, სისულელებს გლაბარაქიბდით, ონგბაზობდით,
ვეშმაკობდით, ჩვენი საკუთარი ენა გამოიგონეთ, ერთმანეთს ხუმრობით
და კეთილდად გაქილიკებდით, ვდლაბუცობდით, ვლაზღანდაზობდით,
გელურებიფით ვროგვდით და უცნაურ სიძღვებს ვმღეროდით, ჩვენი
ფანტაზით გამოგონილ არსებებთან ვთამაშობდით; ერთი სიტყვით,
გაქცეოდით, როგორც სულელი ბაგშვები. ჩვენი ცხოვრების ეს ფაზა
ერთ წიგნში აღვწერე, როგორიც პირველად მიუნკენურ უურნალში -
"დი გეზელშაფტ"-ში დაიბეჭდა და შემდეგ წიგნადაც გამოვიდა.
ზოგიერთიყვანა მისაყველურებს: ასეთ ინტიმურ რაღაცებებს ბრძოს არ
უზიარებენო! თითქოს ბრძოსათვის გწერდეთ! მკითხველებად ყოველთვის
წარმომიდგენია ისეთები, რომელთა სულის სიმების შეტოკება-ახმიანება
ძალგვიძს. ბრძოში, ადამიანთა სიმრავლეში ასეთები ცოტანი
დაიძებნებიან. ამ ნაწარმოების წერისას მხოლოდ ერთზე, ერთ
ადამიანზე გფიქრობდი, რომელსაც შესაძლოა მსგავსი რამ განუცდია და
გადაუტანია. და დახეთ! დროთა განმაგლობაში ასობით წერილი მიზანე
მდიხანელებისაგან! ბარათის ავტორები მარწმუნებდნენ, ყველაფერი
თქვენსავთ განგვიცდია და გამოგვიცდიათ და თითოეული ხელს
აწერდა: "ერთ-ერთი იმათვანი."

[...]

... მე ჩემს ქმარზე მეტი საბუნებისმეტყველო თხზულება მქონდა
წაკითხული, მაგრამ მას ის უპირატესობა პქონდა, რომ ბუნება
პრაქტიკულად გაცალებით ვნებიანად და ძლიერად უყვარდა, ვიდრე მე.
მასში მშეგნიერი ლანდშაფტების ზეობა, ზღვის დიდებულება და ცის
ზურმუხტოვნობა ბეგრად მეტს იწვევდა, ვიდრე უბრალო აღტაცებას.
ეს იყო პირდაპირ რელიგიური ურულია და მოწიწება. მან ისე კარგად
იცოდა დანახვა, თუ რა მომხიბლაობას შეიცავდა ბუნება, რომ პეზარის
აღწერა ძალებს მატებდა, რაც მედაგნდება კიდეც გაგდესიაზე
დაწერილ მის წიგნებში. ლანდშაფტები, რაც ქმნის მისი რომანების -
"დარეჯანის" და "აზნაურის" ფონს, მკვეთრი, ელგარე ფერებითაა
დახატული და ამან კრიტიკის ერთსულოვანი ქებაც დაიმსახურა. რაც
შეეხება ხასიათების გამოქვერწვას, მოქმედების წარმართვას, მხატვრულ
გამოგონებას, ეს მას ნაკლებად ეხერხებოდა და ამიტომაც იყო, რომ
ლიტერატურაში გვალი გვრ დატოვა. რაც შეეხება ბუნების ასახვას, აქ
ის დიდოსტატი იყო. ამ უნარის საიდუმლო ის იყო, რომ მას წრფელად

უყვარდა ბუნება. სიყვარული აათკეცებს ძალა-დონეს. როგორც მე უპიში
ერთხელ აღვნიშვნე: ჩვენ ერთმანეთს გავსებდით, ერთმანეთს შემცირები
გეწეოდით... მაან ბუნებით ტკბობა მასწავლა, მე კი მას მისი წვდომა -
შემეცნება გასწავლე. ჩემი თხოვნით და ჩემთან ერთად ის კითხულობდა
ყველა იმ თხზულებას, რომელსაც წინათ თვალი ჩაგრარი და ახლა კი
მასთან ერთად საფუძვლიანად ჩაგრძლივდი...

[...]

შინაგანად მდიდრული ცხოვრება გმირნდა ჩვენ უკაცერ
ადგილას მდგარ გლეხის ქოში. ღამ-ღამობით ზოგჯერ ტურების
კივილი გგესმოდა. მდიდრული-მეთქი, ვამბობ, თუმცა ჩვენი შემოსავალი
მინიმალური და ჩვენი ოჯახის შეურნეობა ერთობ მწირი იყო. ისეც
ხდებოდა, რომ როცა ჩვენი ერთადერთი მსახური გოგო იშვიათად აფად
იყო, ჩვენ თვითონვე ვიმზადებდით საჭმელს. ერთხელ კი ერთობ
გამსიარულებულებმა იატაკი წყლითა და ქვიშით ჯაგრისით მოგხეხით.
მდიდრები გიყავით გამოცდილებით, განცდილ-გადატანილით, თუმცა
გვირეების განმავლობაში კაციშვილს ვერ გნახულობდით და ჩვენს
გარშემო არაფერი ხდებოდა. ჩვენი განცდებისა და განცდილის წყარო
იყო ჩვენი წიგნები და ჩვენი გულები.

ჩვენ წილად გვწვდა იშვიათი, სრული, დამსახურებულად
მოპოვებული, მკვიდრად ნაგები ბედნიერება.

უკანასკნელი დღეები კაგბასიაში

1882 წელს დედოფალი ავად გახდა. ჩვენ მაშინ სწორედ მისი
სტუმრები ვიყავით გორგში. ექიმებმა, რომლებიც მისმა გაუმა
თბილისიდან ჩამოიყანა, ურჩიეს კარლებადში მკურნალობა. ეკატერინემ
ცივი უარი განაცხადა, სამშობლოს არ დაგტოვებო. "იმედი მაქსი,
გამოვჯამროელდები", მითხრა მან, "მაგრამ თუ სიკვდილი მიწერია,
მირჩევინა აქ, მარტვილის მონასტერთან ახლოს მოგევდე, სადაც მე
დამასაფლავებენ; ევროპიდან ხანგრძლივი მოგზაურობა ყუთით არ
მინდა".

მისი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და როდესაც ჩვენ
შემოდგომაზე გორგიდან წამოვედით, იმედი აღარ გვქონდა, რომ
დედოფალს ცოცხალს გნახავდით და მართლაც მაღე თაგად ნიკოსიან
დეპეშა მივიღეთ, რომ დედამისს - მონა ღვთისას უშფოთგელად
მიუბარებია სული დმტკისათვის. იმის მიუხედავად, რომ ასეთ ცნობას
გელოდი, მაანც ამან ჩემზე თაგზარდამცემად იმოქმედა და ჩემი
ძველისძველი მეგობარი გულითადად დაგიტირე. მარტვილის მონასტერის

აკლდამაში დედოფლის დატრძალვა გადაიქცა უშენებელი სამგლოგით ცერემონიად, რომელშიაც მონაწილეობდა მაზრუნველი პროფესიულების ურიცხვი მოსახლეობაც. ათასობით ადამიანი გაეშენა ძველი მონასტრისაკენ, სადაც დადიანების საყვარელო აკლდამა იყო მოთავსებული, რათა დედოფლისათვის უკანასკენი პატივი მიეგო.

1884 წლის დამდევს კიდევ უფრო ძლიერი დარტყმა ვიწვნიე: დედაჩემი გარდამეცვალა. იმედი მქონდა, რომ მალე ვნახავდი მას, რადგან უკეთ დღის წესრიგში დამდგარიყო ჩვენი უკან დაბრუნება სამშობლოში და თვითონაც ნატრული სიხარულით ელოდა ჩვენს დაბრუნებასა და შეხვედრას. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სიკვდილს წარუტაცია დედაჩემი. არტური წრფელი თანაგრძნობითა და სიყვარულით ცდილობდა გავემნენგებინე და ვენუებებინე. ჩვენი გადახვეწილობის უამი დასასრულს უახლოვდებოდა. არტურის შომბლები მიხვდნენ ბოლოს და ბოლოს, რა ბედნიერები და ერთმანეთის ერთგულებიც ვიყავით ჩვენ, რა მამაცურად გავიტანეთ თავი, ისე რომ არც ერთხელ მათგან დახმარება არ გვითხოვა, ამიტომ უარი თქვეს თავიძნო ჯოუტ მრისხანებაზე და პარმასსდორფში მიგვიწვიეს. ჩვენ ამსიბაში საკუთარ ფეხზე დაგდევით და ამიტომ შეგვძლით ღირსეულად, თამამად შინ დაბრუნება. მართალია, არაფერი გამოგვიგიდა რუსეთის სამეფო კარზე კარიერის გაკეთებისაგან, ვერც კომერციის წამოწევებამ გავვიძართლა იმედები, მავრამ სამაგიეროდ ჩვენ ორივემ ჩვენი ადგილები მოგამოვეთ ლიტერატურაში, რასაც საკმარისი მხარდი შემოსავალი მოჰქმდა. კრიტიკა გვაქებდა, რედაქტორები ახალ-ახალ შეგვთებს გვაძლევდნენ, გამოცუმლები ჩვენგან ხელნაწერებს მოითხოვდნენ. ჩემი ქმრის კაგიასიურმა ნოველებმა და რომანებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, ხოლო ჩემმა "სულის ინგენტარიუმმა", რომელშიც მე ჩემი შეხედულებები გადმოვცი ბუნებასა და ცხოვრებაზე, ბედნიერებასა და პოლიტიკაზე, გრკვეული ყირადება მიიქცია მკითხველ საზოგადოებაში. ასევე მოთხოვნილება გაჩნდა ჩემს ბელეტრისტულ თხზულებებზე. ამასთან ჩვენ ვერძნობდით, რომ ჯერ კიდევ მაღალ ბეჭრი სათქმელი გვქონდა, რომ მხატვრული გამოგონების წყარო ჯერ კიდევ არ დაგვშრეტოდა. ეს ახალი პროფესია ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

მასის თვისთვის იყო ჩვენი უკანდაბრუნება გადაწყვეტილი. იქამდე კიდევ 3 თვე იყო დარჩენილი. ეს დრო გვინდოდა გამოგვეუნებინა ერთი საქმისათვის, რაც გვითხოვა ჩემი ქმრის მეგობარმა, ერთმა თბილისელმა უკრანალისტმა*, სახელდომ, ქართული ერთვნული ეპოსის, შოთა რუსთაველის "გეფისტყაოსნის" თარგმა

* უკრანალისტი იონა მეუნარგვად.

ფრანგულ და გერმანულ ენებზე. რადგან ჩვენ ქართული არ გიცოდით, ამიტომ ჩვენთვის ბატონ მ-----ს (გვარი ხრულად აღარ მასტებს) დედინდან უნდა ეთარგმნა ზეპირად სიტყვა-სიტყვით ფრანგულად (ფრანგული მან ხუსტად იცოდა, მაგრამ აზრია და შინაარსს გვაგებინებდა) - ჩვენ კი მისი ნათქვამი გამართული ფრანგულით უნდა გვეთარგმნა, ხოლო აქედან გერმანულად გადაგვედო. მაშინ დაგევმილი იყო "ვეფხისტყაოსნის" დიდი სადღესაწაულო საოუბილეო გამოცემა, როსთვისაც მხატვარ ზიჩის მშვენიერი იღუსტრაციები დაეხატა. რათა ეს სამუშაო ხელისშეუძლებლად შეგვესრულებინა, მ-----მ მიგვიწვია მთლად მოშორებულ მეგრულ სოფელში, სადაც მამამისი მდგდელი იყო, სადაც პატარა სახლი ჰქონდა, რომელშიც მცირე ქირით შეგვიკედდეს*.

ჩვენ ყოველდღე სისტემატურად დოლით 2 საათი და ნაშეადდევსაც 2 საათი უნდა მიგვეძებნა "ვეფხისტყაოსნის" მუშაობისათვის, ხოლო დანარჩენ დროს გატარებდით სეირნობასა და კითხვაში და სამშობლოში მოახლოებულ დაბრუნებას შეკნარიდით. ჩვენ ვტკბებოდით ველური ხელშეუხებელი ბუნებით, კაგაძასიური მარტოობის უბრალოებით, სანამ გადავშვებოდით ეგრობული ციფრიზაციის მოწევები.

პატარა სახლი, რომელშიც ჩვენ ქახლობდით, თითქმის უავეჯო იყო. ჩვენი თოახისათვის გვქონდა ჩვენი საკუთრი ტახტი და ზოგიერთი მყედროების შექმნელი რეპინისტიც. მათ შორის ციტრაც. მართალია, ეს არის აუცილებელი თავშესაქცევი ინსტრუმენტი, მაგრამ რადგან აქ პიანინო არ გვქონდა, ამიტომ ჩვენს მუსიკალურ მოთხოვნილებებს გამაყოფილებდით პატარა შტრიული საკრავით, რომელზედაც მე სენტიმენტალურ სიმღერებს ვამღერებდი, ხოლო ჩემი ქმარი აქსტრიულ საცეკვაოს უბრავდა ხოლმე.

თოახში, სადაც მდგდელი, მისი გაუსი გადია და ჩვენც საჭამადს შევეცეოდით, იდგა მხოლოდ ერთი მაგიდა და სავარძლების საჭირო რაოდენობა. მენიუ მონაცემებით თო საჭმელს შორის (ერთი დღე ქათამი, მეორე დღეს ცხვრის ხორცი). ხელსახოცებს მხოლოდ თოთხმეტ დღეში გვიცელიდნენ. მდგდელი თქვენეფდა თავის წევიანს ისეთი ხმაურით, რომ კაცს მოთამაშე ზეიგენები გაეონებოდა.

ჩვენი თოახის ქვეშ სარდაფი იყო მოთავსებული, სადაც ბოსტნეულს ამწნილებდნენ და ქის იატაკის ნახვრეტებიდან შეავე სუნი ამოღილდა, მაგრამ არაფერს შეეძლო ჩვენთვის გუნების გაფუჭება.

ქართული პოემის თარგმნა კმაყოფილებით გვავსებდა. ჩვენს წინაშე გადაიშალა უპვე განვლილი მე-13-ე სუკუნის სამყარო ამ შორეულ მხარეში. ეს იყო ეპოქა, რითაც ამაყობენ ქართველები,

* ზუღლისხმება სოფელი ცაიში, ზუგდიდის მახლობლად.

რადგან ამ დროს ქვეყანაში ოქროს ხანა სუფევდა - ეპოქა, როცა დიდი/ დედოფალი თამარი მართავდა საქართველოს, შოთა რუსთაველი/ გალობდა მის კარზე, უმდეროდა მის დიდებას, მის ძალას, მის სილამაზეს. კიდევ უფრო მეტი, ვიდრე ქართველი ბარდისაგან, შევიტევთ ჩვენი პატრიოტი უკრაილისტისაგან მისი ქვეყნის წარსულზე და თამარ მეფის გარდასულ უბრწყინვალეს ხანაზე. ამ სახელის სსენებაზე ყოველ ქართველს დიდი მოწიწება ეუფლება. ასლაც ქართველებში ცოცხალია რუსთაველის მიერ განდიდებული ეპოქა, როგორც ამაღლებული და წარუგალი.

ქართველები 23 საუკუნის ისტორიის პატრონები არიან.

პირველი მეფე, ფამაგაზად საქელდებული, 302 წელს, ქრისტემდე იქნა არჩეული, ხოლო ქრისტიანობა საქართველოში შემოტანილ იქნა 400 წელს ქრისტეს შემდეგ წმინდა ნინოს მიერ. ისევე როგორც ყოველი ძველი ისტორია საქართველოს ისტორიაც არის ომების ისტორია.

ქვეყანას გარს ერტყნენ მტრული ერები და ტომები. განსაკუთრებით ესხმოდნენ თავს საქართველოს მუდმივად ოტომანები და სპარსელები, ცხადია, ქრისიკა მოგვითხრობს ძლევამოსილ ბრძოლებზე, ომლებიც ქართველებმა თავიანთი მტრების წინააღმდეგ გდადინადეს და მათი სიამაყე ამის გამო მჟღავნდება მათ მისალმებაში - იქაური "დიღა მშვიდობისა" უღერს როგორც "გამარჯობა", რაც ნიშნავს გამარჯვებას, პასუხი ასეთია: "გაგიმარჯოს" (ღმერთმა გაგამარჯვებინოს")*.

თამარ მეფის მართველობის დრო მიჩნეულია როგორც ქვეყნის ოქროს ხანა. მატიანე მოგვითხრობს, რომ ამ მეფის დროს ქვეყანაში კეთილდღეობა სუფევდა, ხელოვნება პეგაოდა, აგებდნენ დიდებულ ტაძრებს, როგორც ეს ყველა ძველ მატიანეში წერია, რომლებშიც ყველანაირი მიღწევები და წარმატებები რომელიმე გვირგვინოსას მიეწერება ხოლმე. მბრძანებლები, თუნდაც ისინი დაუნდობელნი ყოფილიყვნენ, მათ სისახტიკეს მაიც ხოტბას ასხამდნენ. თუ ასეთები არ იყვნენ, მთ უმეტეს მათი სიკეთე ცაში აცყავდათ**.

თამარის ქრისიკაში გვითხულობთ: "მისი ბრძანებით არავისთვის არ დაუთხრიათ თვალები და არც კიდურები მოუკვეთიათ - და ეს მით უფრო უცნაურია, რომ ეს ჩვეგა მის დროს და მის შემდეგაც სრულ ძალაში იყო, რომელიც თამარის ერთ-ერთმა წინაპარმა, სახელდობრ, ქველმა გახტანგ გორგასალმა დააწესა: "გინც ომში სიკვდილს

* აქ ბერტა ფონ ზეტნერს მექსიერება დალატობს და სიზუსტეს ერ იცავს.
** აქც ავტორი საქართველოს ისტორიის ნაკლოვის ცოდნას ამჟღავნებს.

გადაურჩება და შინ არ მოიტანს მტრის თავს ან ხელს, ჩვენს მიერ იქნება მოკედლებული".

რა ცოტაა სატარისი იმისათვის, რომ მეფის ბიოგრაფიული აღტაცება დაიმსახურო. ჩვენ შორისაც არიან ბევრნი, რომელთაც არ იზიდავთ კიდეულების მოკეთა და თვალების დათხრა, მაგრამ მათ ამისათვის ხოტბას და ქება-დიდებას არავინ ასამას.

თამარის მეფობის დასაწყისში მის სახელმწიფოს სპარსელი ხალიფი ნასერ-ლი-დანი დაქსა თავს, რომელმაც "უთვალავი" ჯარით დალაშერა საქართველო; მაშინ მოუხმო თამარმა თავის ჯარს, 10 დღეში მოუყარა მან თავი ქვეყნის ყველა კუთხიდან ლეგიონებს. მან ჩამოუარა მათ რიგებს და შემდეგი სიტყვებით მიმართა: "მმებო, გული არ გაიტეხოთ მტრის ურიცხვი ჯარის წინაშე. რასაკვირველია, თქვენ გმენიათ გიდეონის 300 ჯარისგაცისა და მის მიერ მიდიელების უთვალავი არმის დამარცხების ამბავი. თავი გაიმამაცურეთ და თთოუელი თქვენგანის გულოვანების იმედი იქონიეთ!" შემდეგ მეფემ ჯარს თავისი წინაპის დროშა, გორგასლიანთა დროშა, ზემონახსენები ედიქტის აგტორის დროშა გადასცა (რომლის მიხედვითაც "ვინც ომში სიკვდილს გადაურჩება..." და ა.შ.) ცხადია, ქართულმა ჯარმა შეუტია და ბრწყინვალედ დაამარცხა მტრი. როცა ჯარი უკან დაბრუნდა, მას თამარი შემოეგება და ჯარისგაცებმა იმით აღფორთვანებულებმა, რომ მეფე თავიანთ წრეში იხილეს, სპარსელთა არმიის მეთაურები თამარის წინაშე დააჩოქქეს. საგარაუდოა, რომ სპარსელ ქრონიკაში იყიდვ შემთხვევა სულ სხვაგვარადაა გადმოცემული.

რამდენიმე წლის შემდეგ როქნებინმა*, მცირე აზიის სულთანმა შეგრიბა 800 ათასი ჯარისგაცი და საქართველოზე გამოილაშერა. წინასწარ დესპანი გამოუეზავნა თამარ მეფეს და თავაზიანი უსტარი აახლა:

"გატყობინებ, თ თამარ, ქართველთა მეუფებ რომ ყველა დაბცი სუსტია, ასლა მოვდივან, ჭკვა რომ გასწავლოთ, შენა და შენს ხალხს, მეტად აღარ იშიშვლოთ მახვილი, რომელიც ღმერთს მხოლოდ ჩვენთვის უბოძებია." უსტარს ქვემოთ მოწერილი ჰქონდა სულთანის სახელი და ტიტული, სხვაგვების შემდეგიც: ამქვეყნად ყველაზე ძლიერი სულთნებს შორის, ანგელოსთა სადარი და ჯუფორ, დგომის საიდუმლო მრჩეველი და ა.შ.

თამარმა უსტარი წაიკითხა "აუჩქარებლად". მან ბრძანა, შეექიმის ჯარი, თვითონ ჩაუდგა სათავეში ლაშქარს და მტრის შესაბეჭდრად გაეშერა. თავისთავად ცხადია, ქართველთა ჯარის

* რუქნადინი.

გამარჯვება სრული იყო. თბილისის ქუჩები მორთეს და დელფინი

სამართლებრივი მინისტრი

მწესაცით მოკაშებაშე შებრძანდა თბილისში.

ქრონიკები მბრძანებელი ქალის ახეთ დამისმოსათაბაზე და
სიმამაცებული რომ მოგვითხრობენ, თაგისითაგად გასაგებია. "მახვილისა და
საკმევლის" ეს დაკავშირება ისევე ძველია, როგორც ეს თრივე
სიმბოლო, სულერთია რა ფორმას იღებდნენ ისინი.

არსებობს ქართული ეროვნული პოემა, რომელიც ყველა გლეხმა
იცის ზეპირად, სადაც ამ სახელგანთქმულ დედოფალზე შემდეგია
მოიხსრობილი: ქრო-ერთი დიდი გამარჯვების დაქასტაული იყო.
თამარმა ყველა თავისი ძვირფასი სამკაული (ძვირფასი ქვებით
მოოჭვილი გვირგვინი, ოქროს სამაჯური, მარგალიტების ძეწკვები) აისნა. თამარი მზესაცით ანათებდა. მას სურდა, რომ ყველა გახარებული
ყოფილიყო. მეჭურჭლეთუხუცესს უბრძანა, საჩუქრები და საბოძარი
გაეცა ყველასათვისა. დიდისა და პატარისათვის, აზნაურთათვის და
უაზნითათვის. "შეასრულე ჩემი ბრძანება?" - პკითხა თამარმა
მეჭურჭლეთუხუცესს, "ყველანი ქმაყოფილნი დარჩნენ?" "მეფეო,"
უბასუნა მეჭურჭლეთუხუცესმა, "შენი ბრძანებისამებრ მოწყალება
გავიღე, მხოლოდ ერთ მათხოვან ქალს არაფერი ერგო, რადგან
მაინცდამაინც შენთან უნდოდა შემოსვლა და შენი ხელიდან წყალობის
მიღება. ჩვენ არ შემოგუშვით, ჩვენგან არაფერი მიიღო და
გაგულისებული წავიდა." დედოფალი სახტად დარჩა, ბრძანა, მოძებნეო
ს ქალი და მომგვარუთო. ძებნა ასათ გამოდგა, დედოფალი უშედეგოდ
იცდიდა, ქალს გერ მიაკვლიყეს. უცებ დედოფალს გონება გაუნათდა,
ხატების წინ დაქმხო, ბირჯარი გადაისახა და აღელებულმა
წამოიძახა:

"მე ახლა ვიცი, ვინ იყო ის მათხოვანი ქალი. შენ, დედათ
დავთისავ, წარმომიგზავნე იგი." და თამარმა შემთიდარცვა, რაც კი
თებდა-მარგალიტი და ალმასები ეკეთა და შესწარა გაენათის
დავთიმშობლის მონასტერს. ამ მონასტერში, რომელიც ქუთაისის
მახლობლადადა, დაკრძალული უნდა იყოს თამარ შეფე.

"გეფხისტყაოსნის" ჩვენეული თარგმანი არ დაიხეჭდა, მაგრამ
ჩვენ არ გინანია ის დრო, რაც ამ სამუშაოზე დაგეხხარჯა. ყოველივე
ამის შეშვეობით და იმ მონათხრობითაც, რითაც გვაძლიდორებდა ჩვენი
ქართველი პატრიოტი, ჩვენ შეგადწიეთ ქართველი ხალხისა და ამ
მომაჯადოვებელი ქვეყნის არსება და სულში, მის ისტორიასა და
ლიტერატურაში, სადაც ამდენი ხანი დაგეხვით.

ჩვენ გავიცანით იმ წარჩინებული ოჯახების ქრონიკები,
რომლებთანაც ურთიერთობა გვქონდა. ესენი იყენები: ორბელიანები,
წერეთლები, გრუზინსკები, დადიანები, მუხრანსკები, ჭავჭავაძეები -
რომლებიც ისევე სახელოვანნი და დიდგვაროვანნი იყენები.

საქართველოში, როგორც ჩვენში მომოქანსები, მანჩესტერები, ბორგეზები, ლიპტენშტაინები და სხვები.

არა მხოლოდ ისტორიაში, არამედ ქვეყნის ბუნების თავისებურებათა სიღრმეშიც შეგაღწიეთ, გეცნობოდით სოფლის ამ განმარტოებაში ხალხის ზენ-ჩვეულებებს, ჩვენს მასპინძელს დაგუაგდით ქორწილებში, ნათლობებზე და სატირალში.

მაგრამ რა საინტერესოც უნდა ყოფილიყო ჩვენთვის ეს ყველაფერი, მაინც ვითვლიდით დღეებს, რომელიც სამშობლოში ჩვენს გამგზავრებამდე გვაშორებდნენ, და რაც უფრო გვიძლოვდებოდა ჩვენი უკან დაბრუნება, მით უფრო ძლიერი სიხარული გვიპურობდა.

მ ი ნ

1885 წლის მაისში, მაშასადამე, ჩვენი გადმოხვეწიდან 9 წლის შემდეგ, ჩვენ შინ დაგრუნდით. ნაღვლიანად ვამოგეთხვეთ კაგების. მშენერი ქვეყანა ჭეშმარიტად შევიყვარეთ და მასპინძლებიც გულდაწყვეტილები გვემშვიდობებოდნენ. მაგრამ სიხარულიმა, რომ ამდენი ხნის განშორების შემდეგ, კვლავ შინ გბრუნდებოდით როგორც ბედნიერი წყვილი, რომელმაც დაბტკიცა ამ ბედნიერების უფლება და ბრძოლით მოითვა დამოუკიდებელი პროფესია, გადაწონა განშორების სიმძიმილი. და ისეთივე ხალხისით, ისეთივე შემართებითა და ადტკინგებით, როგორც მაშინ ოდესაში ავედით გემზე, გავემართეთ ლეგენდარულ კოლხეთში, რათა ჩვენი სიყვარული გადაგვერჩინა და ჩვენი ფათერაკების ძიების ახალგაზრდული უინ დაგვეკმაყოფილებინა, ახლაც შევედექით ბათუმიდან შავი ზღვით ხომალდით მოზაურობას შინისაკენ, შინისაკენ, შინისაკენ!

ეგრობაში ჩასულებმა ჯერ გეზი გიორცისაკენ ავიდეთ, სადაც დედაქემის საფლავი მეგულებოდა. აქ მეხლი მოგიყარეთ სამარესთან, სანამ ზუტნერების მამულში გაემართებოდით. ამის ვამო ვენა ისე გვითრეთ, რომ იქ არ შევჩერებულგართ, და პირდაპირ დედაქემის საფლავს მიგაშურეთ, შემდეგ ერთი დღე ვენაში შევჩერდით ჩემს მაზლთან, კარლთან, რომლის მიღება-მასპინძლობამ წინასწარ გვაკრინობინა, თუ რა სიხარული და სიტყბოება გველოდა მთელს ოჯახთან შესგედოსას. პარმანსდორფში, ბართნატში, ზუტნერების მამულში გაცნობეთ, რომ ხვალ ჩამოგალოთ-მეთქი. არტურმა თხიობა, სადგურზე ნუ დაგვჭვდებით, რათა თავისთვის საყვარელ პარმანსდორფში ყველა თავისანი ერთად თაგმოყრილი ეხილა. ეგენბურგის საღვურზე გველოდა მხოლოდ ეგიძაუ. ეგენბურგიდან პარმანსდორფამდე კიდევ ერთი საათის საფლავი ეკიძაუთ. ეს

ერთსაბათიანი მგზავრობა დიდებული რამ იყო! იყო შზისნი, სურნელოფანი მაისის დღე. ისმოდა ტოროლების გაღობა, მინდვრებულების დღიოდა და დადგადებდა წითელი სამურა. ჩვენს გულებში სიამე და სიხარული დასადგურებულიყო. ბუნება შორეულ მთაბეჭთში - საქართველოში, სადაც მთის მიხედვით, მიწინო სამოთხე მდებარეობდა, გაცილებით გრძნდითზული და დიადი იყო, გიდრე ეს ჩვენს ქვემოაგხტროული გაკბითა - მაგრამ ეს ხომ ჩვენი სამშობლო იყო. ასობით საამო მოგონება აფუსფუსდა ჩემს მახსოვრობაში და ათასობით ალბათ არტურის მეხსიერებაში - ეს ხომ მისი ბაგშვიბისა და სიყრმის საგანე იყო!

როცა ჩვენ გზის იმ ადგილს მივაღწიეთ, საიდანაც სასახლის გოდოლი გამოჩნდა, არტურმა სიხარულის ყიუინით მარცხენა მკლავი გაიშვირა გოდოლის მიმართულებით, ხოლო მარჯვენა მკლავით მე ჩამისუტა გულშია: "კეთილი იყოს შენი ჩამოსგლა ჩვენს სახლში, კეთილო ქალო", მითხრა მან აღელებული ხმით. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ჩვენს სიცოცხლეში, როცა მან "ქალი" მიწოდდ და ალბათ ამიტომაც იყო, რომ ეს წუთი მთელი თავისი ნეტარი დღესასწაულებრიობით ასე მკაფიოდ აღმებეჭდა მახსოვრობაში.

ჰარმანსდორფში ჩამოგედით... ჭიშტარში შევედით, სასახლის ხიდთან შევედექით. აქ მთელი ოჯახი შეკრებილიყო. ბიბლიიდან ცნობილია, როგორ მოხდა უძღვი შვილის შინ დაბრუნება...

სასახლის ყველაზე ლამაზი თაბეგი ჩვენ დაგვითმეს და ამიერიდან ჰარმანსდორფის სასახლის ჭერქვეულ თავს "შინ" ვერძნობდა, რომელიც ჩვენს ბედინერებას კიდევ 17 წელი იფარავდა.

[...]

...მრავალ თანამედროვე მწერალთან ჩვენ ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას გვითხვდა მიმოწერა. ამიერიდან ეს კორესპონდენციები კიდევ უფრო ინტენსიურად გრძელდებოდა. ჩემმა "ინგენტარიუმმა" ბეგრი ასალი მეგობარი შემძინა ლიტერატურულ წრეებში.

ერთ მშვენიერ დღეს მიგდეთ ფრიდრიჟ ბოდენშტეტის აღფრთვებული წერილი. რადგან "მირზა შაფის" პოეტს მრავალი წელი გაეტარებინა კაგასიაში, ამიტომ დიდად დაინტერესებული იყო არტურ გუნდაკარ ზუტნერის კაგასიური ნოველებით. მიუბენელი მ.გ.ერნადი, რომლის ახლად დაარსებულ უურნალში "დი გეზელშაფტ" - ჩემი ნაწერები გამოქვეყნდა, წერილობით გამოიგებიან როგორც ჰამერლინგი, გრაფი შავი, ლუდგიგ ბიუპნერი, კონრად ფერდინანდ მაიერი, კარლ ემილ ფრანცოზი - ეს არის ჩვენი მაშინდელი კორესპონდენტების არასრული სია.

ბალდუინ გროლერმა, რომელსაც ზუგდიდელ ბ.ულოსთან კარგა
ხანია მიმოწერა პქონდა და წარმოდგენაც არ პქონია, რომ მშენებელი
ფსევდონიშის ქალი ეფარებოდა, ასე აღწერა ეს სიტუაცია თავის ერთ-
ერთ მახვილგონიერ ფელეტონში:

"ერთი დიდი ბელეტრისტული უურნალის რედაქტორი ვიყავი-
მეტწლად ნამდგოლად უნიჭო ხელნაწერთა ვეებერთელა ნაკადის
კითხვა მართლაც რომ საშინელი იყო! ზოგჯერ, როგორც უგემურ
ნამცხვარში გამოერეგა ხოლმე გემრიელი ქიშმიშის მარცვლები, ისე
მხვდებოდა ხელნაწერთა სიმრავლეში ტალანტის იშვიათი
გამობრწყინება. ერთხელ რედაქციაში პირდაპირ დღესასწაული გვქონდა;
მე ერთხელ "დიდი ქიშმიში" გიმოვე - გასაოცარი სიღრმისა და
დაწვეტილობის ნამუშევარი, რასაც გადმოცემის შეუდარებელი
სილაშათე ახლდა თან. ეს ჭეშმარიტი სიხარული იყო, ნამდგილი
ზარხოუში - ახალი ტალანტი გამოჩნდა. ეს ხომ ცოტა არაა?! რა
გვარია ეს კაცი? ბ.ულო, უცნაური გვარია, მაგრამ მალე ამ გვარს
მეტიხველები შეეჩერებიან. უცნაურობა ამით არ მოთავსებულა. კიდევ
ერთხელ ავიდე ხელში თანმხლები მინაწერი. სად ცხოვრობს ეს კაცი,
და საერთოდ რას აკეთებს? რუსული საფოსტო მარკა შეგმჩნიე.
წერილი ზუგდიდიდან იყო გამოგზავნილი, ჭუთაისის გუბერნიიდან,
დათარიდებული... იქვე თხოვნა იყო გამოთქმული, ანგარიში გაუწიეთ
იმას, რომ ეს ავტორის პირველი თხზულებაათ... ეს კი მეტისმეტი იყო.
მაშინვე ჰონორარი გადაგაგზავნინე, რათა ახალი თანამშრომელი არ
გაგვინაწყენებინა. თანაც ამ სამუშაოს შეუკავებელი აღიარება-
შექმნასთან ერთად დაუინებით ვითხოვდი, გადმოიგზავნა ჩვენთვის
ახალ-ახალი ნაწერები. მართლაც მისან ვიღებდი შემდგომ ნაწერებს
და ჩემი სიხარული და გაოცება თანდათან მატულობდა. ამ ნაშრომებში
შეინიშნებოდა მეცნიერული და ფილოსოფიური განსწავლულობა,
როგორც ამას შეხვდები ხოლმე მხოლოდ უნივერსიტეტის რომელიმე
პროფესორთან, მაგრამ ამის გარდა აქ იყო ისეთი გრაცია, შორი
ელგარება და ყველაფერზე ამაღლებული ჟუმრი, რაც უნივერსიტეტის
პროფესორს არ გააჩნია - არა, ნამდგილად არ შეიძლებოდა ის
პროფესორი ყოფილიყო. ჩვენ ქსაუბრობდით ერთმანეთთან, ცხადია,
წერილობით. ერთმანეთისთვის სათქმელი არ გველეოდა. ძალიან ბევრი
საერთო აზრი აღმოგზაჩნდა ხელოფნებასა და ცხოვრებაზე, ასე რომ
უაზრობა იქნებოდა, არაფრის მთქმელი ფორმალობებით და ფრაზებით
შეგვეგსო ერთმანეთისადმი მიწერილი ბარათები, მალე როგორც ახლო
მეტობრები "შეგ"-ობით მიგმართავდით ერთმანეთს, მმურ გულს გული
ცნობდა.

ერთხელ [...] წერილში ისეთი ტლანქი და უწმაწური გამოთქმა
გამოვიყენე (რაც მამაკაცებს შორის არც ისე იშვიათია), რომ საჭირო

გახდა სიცხადის შეტანა. და ეს მოხდა ძალიან დახვეწილებდა და ყოველგვარი აფექტაციის გარეშე: შემდეგ წერილს, რომელიც მას უკავშირდებოდა გამომიგზავნა, ხელს აწერდა: შენი ერთგული ქალბატონი... მე სახტად დავრჩი: მაშასადამე ბულო ქალი ყოფილა - ვინ იფიქრებდა ამას! მე ასსნა-განმარტება მოფონები და მაღლე მივიღე კიდეც: ბულო ყოფილა - ბართის ცოლი ბერტა ფონ ზუტერი, წარმოშობით - გრაფის ქალი კინსგი. რას ვიზამდი! წყენა არ გამომისატაგს, ვერაფერს შეგცვლიდა."

[...]

... ჩვენი სამშობლოში დაბრუნების პირველივე წელს, ოქტომბერში შედგა მწერალთა კაფშირის კონგრესი ბერლინში. ჩვენ ამ კაფშირის წევრები ვიყავით და წინადაღებით მოგვმართეს, მონაწილეობა მიგვედოთ ამ ყრილობაზე. ჩვენც თავმატიური არ გაგვიდგია.

[...]

სურათის მიხედვით ვიცანი: მირზა შაფი, ჩვენი ძგირფასი წერილობითი შეგობარი ბოდენშტეტი. ის ჩვენსგან გამოექანა და ჩვენს გვერდით დაჯდა. დატრიალდა ახალკავკასთური რემინიცევული ციები. იქ გაბტარა პოეტმა თავისი აღრეული შემოქმედებითი წლები. ბოდენშტეტი გადმოგცემდა თავის შოთაბეჭდილებებს თბილისზე, სამეგრელოს ტყეებზე, აღმოსავლეური სახლების ბანებზე, სადაც მთვარის შუქზე ლამაზი ქალები საკრაგს უკრავდნენ და ცეკვავდნენ. გერმანელი ჭაბუკი მგოსანი დამის სიწყარუნები პაემაზე მიიჩქაროდა. მას უყვარდა ერთი რესი გენერლის ლამაზი ცოლი. თმაშეჭაღარავებული კაცის ლექსებში ამ სიყვარულის მოგონება დგივის. არა მხოლოდ ამ საღამოს, არამედ მწერალთა მთელი ყრილობის განმავლობაში ფრიდრიქ ბოდენშტეტი ჩვენთან იყო, ყოველთვის ჩვენ მოგვეძლებოდა ხოლმე. ჩენ გული გერ ვიჯერეთ კაგასიაზე საუბრით...

... კაგებსიაში ხეტიალის დროს ჩვენ სხვა, გაცილებით რთულ სიძნელეებს ვიყავით შეჩეული. იქ ხშირად გმდებრებით უფსკრულის პირას; ვიწრო მოქანავე საცალფეხო ბონდებზეც გადავსულგართ ცხენებით, მიგვიღებული ბორნამდე, რომელითაც ჩვენს გადაყვანაზე მებორნეს უარი უთქვამს, რადგან მდინარე ძალიან ადიდებული ყოფილა. იძულებული გაგმდარებით სის ქოში შეგსულიყავით, დაფნაყრებულიყავით ბურით, თევზითა და კახური დგინით, დამე გაგეთია უქეშაგებო გასრეგილ სკამლოგიზე - და მაინც ეს მოგონებები ჩვენში სასიამოგნო ემიციებს იწვევდა...

... დიდი სისარული მოგვანიჭა პარიზში კაგებსიელი მეგობარი ქალის ხახვამ - ეს იყო ქართველი თავადის ქალი თამარ ბაგრატიონი. ლამაზი ახალგაზრდა ქვრივი თავის თუ უსაკო გოგონასთან ერთად ერთი წელია საფრანგეთის დედაქალაქში დაბინადრებულიყო - ელისეს

მინდვრების უბანში კოპტია ბინა ლამაზად მოეწყო. თამარი ხშირად გვეპატიუებოდა თავის ბინაზე. აქ გხვდებოდით ყოველიც მრავალრიცხოვანი, მეტწილად რუსულ საზოგადოებას. ბარონი ფრიდერიკის, რუსეთის მეფის მაშინდელი და ახლანდელი ობერცერუმონიერმაისტერი, ამ სახლის მეცობარი იყო...

[...] თავადის ქალი თამარი, რომლის სახლშიაც ჩვენ თბილისშიც, ხოლო 4 წლის წინ პარიზში მის სალონში ხშირად გსტუმრობდით, ახლა გენეციაში დასახლებულიყო და თავისი ორი ქალიშვილი მაღალ საზოგადოებაში გაჰყავდა...

[...]

ისევ ერთ ეგზოტიკურ ადამიანთან შეხვედრა. მირზა რიზა ხანი, სპარსეთის წარმოგზავნილი, ერთ-ერთ სამშეიდობო კონგრესზე გაიცანით. 45 წლისა იყო, აღმოსავლური სახის ნაკვთები ჰქონდა, ხშირი შავი ულგაში მოელგარე თვალები. თეთრი უნიფორმა უთვალაგი თრდენით ჰქონდა მორთული. ქუდზე სპარსული ლომი ჰქონდა გამოსახული. 1889წ. თან ახლდა აწ უკვე განსვენებულ შაპი - ნახრ-ედ-დანს ეგრობაში მოვწარუობის დროს როგორც მისი გენერალ-ადიუტანტი. ახლა ის თურმე პეტერბურგში მსახურობს. მას აღზრდა მოვდია კონსტანტინებოლსა და თბილისში და ბეგრს მოგვითხრობდა თამარ ბაგრატიონზე, რომელსაც თურმე ძალიან კარგად იცნობს. ახლა თამარი კავკასიურ კურორტზე, ბორჯომში არისთ.

[...]

დეტლებ ლილიენგრონი მაშინ უკვე თავისი დიდების მწვერვალზე იყო ასული; იგი მაშინ გერმანელ ლირიკოსთა მეფე გახლდათ, თუმცა პაციონისტი არ ყოფილა; პირიქით, იყო ენერგოული, კადნიერი, დაურიდალი მსედარი, მაგრამ ამის გამო პოეტით ჩემი აღტაცება ითტის ოდენადაც არ დაკინებულა. [...] უკვე რამდენიმე წელიწადია მასთან მიმოწერა ჰქონდა, ჩემი აღტაცებაც არ დამიმატაგს და ჩემი ქმრის ზოგიერთი თხზულებაც გაგუგზავნე. მან წერილი მომწერა:

მოწყალეო ბარონის ქალო!

[...] თქვენს მშეგნერ ქვემო აგსტრიაში ახლა აღბათ გაზაფხულია. ჩემს ქუფო და მუდამ ნოტით სამსობლოში და ჩემს სიმარტოვეში კი, რაშიც როგორც ყრუმუნჯს მიხდება ყოფნა, ჯერჯერობით ერთი ფოთოლიც კი არ არის გამოსული.

უშორნიდებად გთხოვთ, გულითადი მოკითხვა გადასცეთ თქვენს მეუღლე ბატონს! მისი რომანი "დარეჯანი" დიდებულია!

დაგმოები მოწყალე ბარონის ქალის მონა-მორჩილი

ბარონი დეტლევ ლილიონგრონი.

გადამდგარი კაპიტანი...

[...] "ახ, ძვირფასო ბატონი!" უთხოა უფლიერ ადამმა* ჩემს
ქმარს "თქვენ ძალიან მესიმბათიურებით, რადგან ქვეყნა, რომელიც
თქვენს წიგნებში ასე დიდებულად ისახეთ - ნაწევრადგველური კავკასია.
ჩემთვის ერთობ მიმზიდველი გახდა"...

[...] გაგასიელ მეგობრებთან შიმოწერას ვინარჩუნებდით.
მოურატები ისეგ ზუგდიდში იყენენ, პრინცი ნიკო მეტწილად
პეტერბურგში ცხოვრობდა. პრინც ანდრე დადიანისაგან ერთ დღეს
ვენიდან წერილი მივიღეთ, ვენაში გავლით ვარ და, თუ შეიძლება,
მოგინახულებთო. ჩვენ სწორედ ვენაში გვიწოდა საქმე - სახელდობრ,
უნდა დავსწრებოდით სამშვიდობო გაქრთიანების საზეიმო კრებას, სადაც
მოხსენებები სხვებს შორის უნდა წაეკითხათ პეტერ როზეგერესაც და
კარის შესაბიძეს ლევინსკისაც. მე მივწერ პრინცს, მას შეეძლო კრებაზე
მოსულიყო; ასეც მოიქცა. მოხსენებების შემდეგ საზოგადოება ბანკეტზე
დარჩა. ეს ყველაფერი აღმართ რეს თფიცერს, რომელიც ყარსთან
იბროდა, გაუგებარი ეჩვენებოდა, მაგრამ ჩემს მიზნებსა და მიღწევებს
მთლიანად დაეთანხმა**. იყო ეს თაგაზიანობის თუ რწმენის
გამოხატულება, ამის განსჯას მე აქ არ შევუდგები. მეორე დღეს ანდრე
დადიანი ჰარმანსდორფში წაგიყვანეთ, სადაც იყი ერთხანს ჩვენი
სტუმარი იყო.

[...] 1902 წელი, ზაფხული (არტური ჯერ ცოცხალია)

მეორე ეგზოტიკური სტუმარი იყო თაგაზის ქალი თამარ
ქართველი. თავისი თრივე ასულითურთ. ისინი თრი დღე დარჩენენ
ჰარმანსდორფში და ჩვენ გაუთავებლად ვიგონებდით ძველ დროებას
კაგაბიაში. აგრეთვე ამ საყვარელ, მშვენიერ ქვეყანასაც მოგვიანებით
იმ ბედითმა ომმა უზომო ტანჯგა მიაყენა...

[...] ნიცაში გაგვანარა ერთმა სტუმრობამ, რამაც ისეგ
გააცოცხლა ჩვენი მოგონებები შშვენიერ კაგაბიურ დღეებზე. მე ერთ
ადგილობრივ გახეთში ამოგიყითხე, რომ აქვე მეზობელ აგარაგზე
საფრანგეთის დედოფლის ეუენის სტუმრები იყენენ პრინცი ლუსიენ

* ორანგი მწერალი ქალი (1836-1936), უკიდურესი ნაციონალისტი.

** ფულისხმება ბერტა ფონ ზუტნერის ანტისაომარი და მშვიდობისმოუყრული
პოზიცია.

მოურატი და მისი მეუღლე პრინცესა როანი. მაშინვე ბარათი მიგწერა
ჩემს ყოფილ, მაშინ პატარა, გერმანულის მოწაფეს, ჩეგ აქვე გარემონტის
მეოქი. მეორე დღეს ახალგაზრდა წყვილი გვეწვია. შეხვედრის
სიხარულს თან ახლდა ბნელი ღრუბელი: პრინც აშილის, ლუსიენის
მამის ტრაგიკული სიკვდილი, მაგრამ ამაზე საერთოდ კრისტიც არ
დაგვიძრაგს...



ნოდარ კაკაბაძე (დაიბადა 23.IX 1923. თბილისი) გერმანისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგური მეცნიერებათა დოქტორი, დასაკლეიპ ეგროპის ლიტერატურის კათედრის გამგეპრომოცია 1953, ჰაბილიტაცია 1968, აქვ შრომები XXს. გერმანულენოგან ავტორებსა და ლიტერატურაზე, ესსეები, თარგმანები: "ჰაინრიხ მანის ცხოვრება და შემოქმედება" (1956), "კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში" (1963), "ნარკევები XX ს. გერმანული ლიტერატურიდან" (1964), "თომას მანი. ადრეული შემოქმედება" (1967), "ჰორტონეტები და სილუეტები" (1971), "თომას მანი" (1973), "თომას მანის რომანის პოეტიკა" (1983), "თომას მანი. შემოქმედების წახნაგები" (1985), "სახელოფონი და სალიტერატურო კოლაჟები" (1991). ქსეები: გერმანულენოგნ რომანზე, ლირიკაზე, რაინერ მარია რილეზე, არნო შმიტზე, ფრანც კაფკაზე, ბეტერ ალტენბერგზე, ბეტერ გაისზე, შტეფან ცვაიგზე, ბერტა ფონ ზუტნერზე, გიუნტერ აიზზე, პაულ ცელანზე, კრისტა ვოლფზე; იკვლევს გერმანულ, აფესტონულ და ქართულ კულტურულ და ლიტერატურულ ურთიერთობებს.

Nodar Kakabidze (23.IX 1923, Tbilisi) - studierte an der Universität Tbilissi Germanistik, Promotion – 1953, Habilitation – 1968. Professor der Germanistik in Tbilissi, Lehrstuhlleiter für westeuropäische Literaturen (Universität Tbilissi). Bücher: "Leben und Werk von Heinrich Mann" (1956), "Kaukasien und Georgien in der Deutschen Literatur des XX. Jahrhunderts" (1962), "Thomas Mann. Frühwerk" (1967), "Bildnisse und Schattenrisse" (1985), "Kunst- und Literaturcollagen" (1991) Essays über Reiner Maria Rilke, Stefan Zweig, Franz Kafka, Robert Neumann, Peter Altenberg, Paul Celan, Bertha von Suttner, Arthur Gundaccar von Suttner, Arno Schmidt, Peter Weiss, Günter Eich, Christa Wolf u.a. N.K. forieht auch deutsch – österreichische und georgische Kultur – und Literaturbeziehungen.

Von 1876 bis 1885 lebte in Georgien die berühmte österreichische Friedenskämpferin, Schriftstellerin, Journalistin, Pazifistin und künftige Friedensnobelspeisträgerin Bertha von Suttner. Sie verbrachte diese Jahre in Georgien zusammen mit ihrem Mann, dem Schriftsteller Arthur Gundaccar von Suttner.


Bertha von Suttner hat ihren Aufenthalt in Georgien in ihren "Memoiren" (Deutsche Verlagsanstalt, Stuttgart 1909) geschildert. Die Suttners haben abwechselnd in Gordi, Kutaissi, Tbilissi und Sugdidi gelebt. B.v. Suttner's literarischer Nachlaß ist in Genf aufbewahrt (Bibliothek der UNO, Collection Suttner - Fried) wir bieten unseren Lesern Auszüge aus diesen "Memoiren" an, die Georgier und Georginen betreffen.



Unser ganz besonderer Dank gilt der Botschafterin der Republik Österreich in Georgien Frau Heidemaria Gürer,
Dank gebührt auch Frau Annemarie Türk (KulturKontakt Austria)

Das Buch wurde vom Bureau für internationale kulturelle Programme Kaukasiens verlegt (IBCCP). Begünstigt wurde dieses Vorhaben durch KulturKontakt (Austrua) und Internationale Stiftung "Kaukasien" (SCF) des Königreichs der Niederlande.

განსაკუთრებული მადლობა
ქალბატონ პაიდემარია გიურერს, ავსტრიის რესპუბლიკის
ელჩს
ქალბატონ ანემარია ტურგს კულტურგონტაქტი (ავსტრია)
წიგნი გამოცემულია კავკასიის კულტურული პროგრამების
საერთაშორისო ბიუროს (IBCCP) მიერ
კულტურგონტაქტი (ავსტრია) და ნიდერლანდების სამეფოს
საერთაშორისო ფონდ „კავკასიის“ მხარდაჭერით (SCF)





18/3

40